European Commission

Joint Research Centre

როგორ შევიმუშაოთ მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის

მერების შეთანხმების სახელმძღვანელო

დავიდე, მ., ბასტოსი, ჯ., ბეზერა, პ., ერნანდეს მორალი, გ., პალერმო, ვ., პიტალისი, მ., ტოდესკი, ვ., ტრევილი, ა., ბარბოსა, პ., პისონი, ე., მელიკა, გ.

2026



ეს დოკუმენტი წარმოადგენს ევროკომისიის სამეცნიერო და კვლევითი სამსახურის „ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) -ს პუბლიკაციას. მისი მიზანია ევროპული პოლიტიკის შემუშავების პროცესისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამეცნიერო მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამ პუბლიკაციის შინაარსი არ ასახავს ევროკომისიის პოზიციას ან მოსაზრებას. არც ევროკომისია და არც კომისიის სახელით მოქმედი რომელიმე პირი არ იღებს პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციის შესაძლო გამოყენების შედეგზე ამ პუბლიკაციაში გამოყენებული მეთოდოლოგიისა და მონაცემების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომელთა წყაროს არ წარმოადგენს არც ევროსტატი და არც კომისიის სხვა სამსახური, მომხმარებლი უნდა დაუკავშირდეს შესაბამის წყაროს. რუკებზე გამოყენებული აღნიშვნები და მასალის წარმოდგენა არ გულისხმობს ევროკავშირის მხრიდან რაიმე მოსაზრების გამოხატვას ნებისმიერი ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ადმინისტრაციის ან მისი ხელისუფლების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, ან მისი საზღვრების ან საზღვრების დელიმიტაციასთან დაკავშირებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი: ჯულია მელიკა
მისამართი: ევროკომისია, ერთობლივი კვლევის ცენტრი, Via E. Fermi 2749, 21027 Ispra (VA), იტალია
ელ. ფოსტა: giulia.melica@ec.europa.eu
ტელ.: +39 0332 78 9842

ერთობლივი კვლევითი ცენტრი

https://joint-research-centre.ec.europa.eu

JRC145839
EUR 40715

ბეჭდვა ISBN 978-92-68-39779-4 ISSN 1018-5593 doi:10.2760/2472045 KJ-01-26-197-EN-C
PDF ISBN 978-92-68-39778-7 ISSN 1831-9424 doi:10.2760/1581660 KJ-01-26-197-EN-N

ლუქსემბურგი: ევროკავშირის გამომცემლობა, 2026

© ევროკავშირი, 2026

ევროკომისიის დოკუმენტების ხელახალი გამოყენების პოლიტიკა ხორციელდება კომისიის 2011 წლის 12 დეკემბრის 2011/833/EU გადაწყვეტილებით კომისიის „დოკუმენტების ხელახალი გამოყენების შესახებ“ (OJ L 330, 14.12.2011, გვ. 39) შესაბამისად. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ამ დოკუმენტის ხელახალი გამოყენება ავტორიზებულია Creative Commons Attribution 4.0 International (CC BY 4.0) ლიცენზიით (https://creativecommons.org/licenses/by/4.0/). ეს ნიშნავს, რომ ხელახალი გამოყენება დაშვებულია შესაბამისი წყაროს მითითებით და ნებისმიერი შესაძლო ცვლილების მითითებით.

ევროკავშირის საკუთრებაში არ არსებული ფოტოების ან სხვა მასალის ნებისმიერი გამოყენების ან რეპროდუცირებისთვის ნებართვა პირდაპირ უნდა მიიღოთ საავტორო უფლებების მფლობელებისგან.
გრაფიკული დიზაინი: ბაგდაგულ ტანი
გარეკანის გვერდის ილუსტრაცია, © www.freepik.com

პუბლიკაციის ავტორები: დავიდე, მ., ბასტოსი, ჯ., ბეზერა, პ., ჰერნანდეს მორალი, გ., პალერმო, ვ. და სხვ., როგორ შევიმუშაოთ მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი, ლუქსემბურგი, 2026, https://data.europa.eu/doi/10.2760/1581660, JRC145839.

შინაარსი

აბსტრაქტი 3

სამადლობელი 4

წინასიტყვაობა 5

1. შესავალი 6

1.1. მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკიდან მერების გლობალურ შეთანხმებამდე 6

1.2. მერების შეთანხმება აღმოსავლეთით 8

1.3. კლიმატისა და ენერგეტიკის რეგიონულიპოლიტიკის კონტექსტი 9

1.4. სახელმძღვანელოს შესახებ 10

2. მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სმოქმედო გეგმა მეკსგ / SECAP 12

2.1. რა არის მეკსგ /SECAP? 12

2.2. მასშტაბი 14

2.3. ვადები 16

2.4. მეკსგ/ SECAP-ის ძირითადი ელემენტები 17

3. მეკსგ/SECAP-ის საწყისი ფაზა 20

3.1. პოლიტიკური ვალდებულება და ოფიციალური ჩართულობა 20

3.2. ყველა შესაბამისი მუნიციპალური დეპარტამენტის ჩართულობა 21

3.2.1. შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა 21

3.2.2. ადამიანური რესურსების მობილიზაცია 24

3.3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეფექტური კომუნიკაცია 25

3.3.1. დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და აღრიცხვა 26

3.3.2. როგორ ჩავრთოთ დაინტერესებული მხარეები 27

3.3.3. კომუნიკაცია 30

3.3.4. სამართლიანობის, თანასწორობისა და გენდერული საკითხების გათვალისწინება 32

4. არსებული მდგომარეობის შეფასება და მიზნების განსაზღვრა 35

4.1. ადგილზე არსებული სიტუაციის გონივრული შეფასება 35

4.1.1. სათბურის გაზების ემისიის ინვენტარიზაცია 35

4.1.2. რისკისა და მოწყვლადობის შეფასება 36

4.1.3. ენერგომოხმარებისა და სიღარიბის შეფასება 38

4.2. საერთო ხედვისა და ამბიციური მიზნების განსაზღვრა 41

4.2.1. კლიმატის პოლიტიკის მიმოხილვა რეგიონში 41

4.2.2. გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება 46

4.2.3. მიზნები და ამოცანები 46

5. ღონისძიებების დაგეგმვა და სტრატეგიები 52

5.1. ყოვლისმომცველი ქმედებების მომზადება 52

5.1.1. ღონისძიებების შემუშავება 52
5.1.2. ჰაერის ხარისხის სარგებლისა და სათბურის გაზების შერბილების ქმედებების ადგილობრივი ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება 59
5.1.3. მზადება განხორციელებისა და მონიტორინგისთვის 60
5.2. საჭირო დაფინანსების იდენტიფიცირება და უზრუნველყოფა 61
5.3. მეკსგ/SECAP-ის მიღება და წარდგენა 63
6. მეკსგ/SECAP-ის განხორციელება და მონიტორინგი 64
6.1. დეტალური განხორციელების სტრატეგიები, ეტაპები და ინდიკატორები 64
6.2. პროგრესის მონიტორინგი და ანგარიშგება 66
7. კოორდინინაცია და მხარდაჭერა მცირე მუნიციპალიტეტებისთვის 69
7.1. ერთობლივი მეკსგ/SECAP-ები 69
7.2. შეთანხმების კოორდინატორები 70
8. დასკვნები 71
ლიტერატურა 72
აბრევიატურებისა და განმარტებების სია 75
სარკმელები 76
სურათები 77
ცხრილები 78

აბსტრაქტი

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის (CoM East) 2011 წელს ამოქმედდა. მას შემდეგ მისი მასშტაბები გაფართოვდა და გაძლიერდა. ეს დოკუმენტი CoM East ინიციატივის მუნიციპალიტეტებს აწვდის კონტექსტს, მიზნებს, მეთოდოლოგიურ პრინციპებს, პროცედურებსა და საუკეთესო პრაქტიკას მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (მეკსგ/SECAP) შესამუშავებლად. იგი ეფუძნება CoM-ის ევროკავშირის სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილს, რომლის შინაარსიც ადაპტირებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტისა და სპეციფიკისგათვალისაწინებით, რათა CoM East-ის ხელმომწერებს მიაწოდოს მორგებული ინფორმაცია და მითითებები ხელმძღვანელობა მეკსგ/SECAPის შემუშავების სრული პროცესის განმავლობაში.

სამადლობელი

ეს ნაშრომი შემუშავდა ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) მიერ, ევროკომისიის გაფართოებისა და აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის გენერალურ დირექტორატთან (DG ENEST) ადმინისტრაციული შეთანხმების ფარგლებში. გვსურს მადლობა გადავუხადოთ DG ENEST-ს „მერების შეთანხმების აღმოსავლეთის“ ინიციატივის მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით „მერების შეთანხმების აღმოსავლეთის“ ტექნიკურ დახმარების ჯგუფს მათ მიერ ხელმომწერებთან და პრაქტიკოსებთან გაწეული სამუშაოსთვის.

ეს დოკუმენტი ეფუძნება 2025 წელს გამოცემულ ევროკავშირის მერების შეთანხმებისსახელმძღვანელოს ევროკავშირის მუნიციპალიტეტებისთვის „როგორ შევიმუშაოთ მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP).

ავტორები ასევე მადლობას უხდიან კრისტიანთეილს JRC-ის ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის განყოფილების ხელმძღვანელს, მტკიცე მხარდაჭერისა და ხელმძღვანელობისთვის.

ავტორები

დავიდე მ., ბასტოს ჯ., ბეზერა პ., ერნანდეს მორალ გ., პალერმო ვ., პიტალის მ., ტოდესკი ვ., ტრევილ ა., ბარბოსა პ., პისონი ე., მელიკა გ.

წინასიტყვაობა

„მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (CoM East) 2011 წელს დაიწყო და მორგებული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების კონკრეტულ საჭიროებებზე. ამჟამად, ის მოიცავს შემდეგ ქვეყნებს: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა.

ყოვლისმომცველი, თანმიმდევრული ინსტრუქციებით, ეს სახელმძღვანელო ეხმარება CoM East-ის მუნიციპალიტეტებს დაბალ ნახშირბადიანი, მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ თემებში მდგრადობის კულტურის ხელშეწყობაში.

ეს სახელმძღვანელო განიხილავს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების (მეკსგ/SECAP) დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მნიშვნელოვან ასპექტებს. იგი აგებულია 10 ძირითად ელემენტზე, რომლებიც აუცილებელია მთელი პროცესის წარმატებისთვის და რომელთა ირგვლივ უნდა იმოქმედონ მუნიციპალიტეტებმა:

1. მუნიციპალური საბჭოს (ან მისი ეკვივალენტური გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს) პოლიტიკური ვალდებულება და ფორმალური ჩართულობა
2. ყველა შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მობილიზება
3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეფექტური კომუნიკაცია
4. ადგილობრივი მდგომარეობის გონივრული ანალიზი
5. საერთო ხედვისა და ამბიციური მიზნების განსაზღვრა
6. ძირითადი გამოწვევების მოსაგვარებლად ყოვლისმომცველი ღონისძიებების მომზადება
7. ადეკვატური დაფინანსების იდენტიფიცირება და უზრუნველყოფა
8. მეკსგ/SECAP-ის მიღება და წარდგენა
9. დეტალური განხორციელების სტრატეგიები, ეტაპებითა და ინდიკატორებით
10. მონიტორინგი და ანგარიშგება

2008 წლის შემდეგ, მისი დაარსების დღიდან, ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრი (JRC) პასუხისმგებელია CoM ინიციატივის სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. JRC-ის როლია უზრუნველყოს ინიციატივის შესაბამისობა ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის პოლიტიკასთან, ასევე მისი ურთიერთშესაბამისობა. JRC-ის მანდატის მნიშვნელოვანი ნაწილია დაეხმაროს ხელმომწერებს სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, რაც მოიცავს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნას პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს 2018 წელს (კონა და სხვ. 2018) გამოქვეყნებული წინა სახელმძღვანელოს „როგორ შევიმუშაოთ მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ მნიშვნელოვან განახლებას.. იგი იძლევა განახლებულ ინფორმაციას ვალდებულებების შესახებ, ევროპული და საერთაშორისო კლიმატის პოლიტიკის მიზნების პროგრესის შესაბამისად . გარდა ამისა, იგი გვთავაზობს დამატებით მითითებებს CoM East სთვის ენერგეტიკული სიღარიბის საკითხთან დაკავშირებითს . დოკუმენტი მიჰყვება ახალ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს იოლს და გასაგებ ენაზე წაკითხვას და ფარავს სხვადასხვა აუდიტორიის საჭიროებებს დასაკმაყოფილებლად.

JRC-ის სამომავლო მუშაობა შეიძლება ფოკუსირებული იყოს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მითითებების სხვა რეგიონული მერების ინიციატივების კონტექსტთან ადაპტაციაზე.

1. შესავალი

1.1. მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკიდან მერების გლობალურ შეთანხმებამდე

ევროკომისიამ, ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის პირველი პაკეტის მიღების შემდეგ, კლიმატურ გამოწვევების დაძლევაში მუნიციპალიტეტების პოტენციალის აღიარებით და მუნიციპალიტეტების მიერ მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, 2008 წელს წამოიწყო „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ (CoM) ინიციატივა. ამ ინიციატივის მიზანი იყო ნებაყოფლობითი ვალდებულებისთვის მზად მყოფი, ევროკავშირის ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების გაერთიანება და ჩართვა კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო პროცესებში. და, ამ მიზნით, შეეთავაზებინა მათთვის მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების ჰარმონიზებული მეთოდოლოგიები და ანგარიშგების ჩარჩოები, რათა მათ, სათბურის გაზების ემისიების შემცირების ამბიციები რეალობად ექციათ. თავდაპირველ, ვალდებულება განისაზღვრა შემდეგანირად: მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის (SEAP) განხორციელებით, საბაზისო წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტების მიერ, 2020 წლისთვის, სათბურის აირების ემისიების მინიმუმ 20%-იანი შემცირება.

2014 წელს ევროკავშირის ადაპტაციის სტრატეგიის მიღების შემდეგ, ევროკომისიამ წამოიწყო დამოუკიდებელი ინიციატივა, სახელწოდებით „მერები ადაპტაციისთვის“, რომელიც დაეფუძნა „მერების შეთანხმების“ იმავე პრინციპებს, მაგრამ ფოკუსირდა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაზე. 2015 წელს „მერების შეთანხმებისა“ და „მერების ადაპტაციის“ ინიციატივები გაერთიანდა „მერების შეტანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ დასახელებით (CoM), რის შემდეგაც გამკაცრდა ევროკავშირის მუნიციპალიტეტებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილების ვალდებულება, და სატბურის აირების საწყისი 20% იანის შემცირების ნაცვლად განისაზღვრა ემისიების მინიმუმ 40%-ით შემცირების მიზანი 2030 წლისთვის. ასევე, იგივე ინიციატივაში ინტეგრირებული იქნა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ადგილობრივი ღონისძიებებიც.

ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკის მასშტაბისა და ამბიციის გაზრდის შემდეგ, ევროკავშირის მერების შეთანხმების (CoM) ინციატივამაც გაზარდა საკუთარი ვალდებულება და 2050 წლისთვის ნახშირბადნეიტრალიტეტის მიღწევის მიზანი განსაზღვრა, ადგილობრივი მდგრადობისა და ადაპტაციის გაუმჯობესების ასევე, საფრთხო, მდგრადი და ხელმისაწვდომი ენერგიის უზრუნველყოფის სტრატეგიების საშულებით. 2021 წლის აპრილიდან ინიციატივის ხელმომწერ ევროკავშირის მუნიციპალიტეტებს ხელმომწერებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ ღონისძიებები, რომლებიც 2030 წლისთვის 1990 წლის დონესთან შედარებით სათბურის გაზების ემისიებს მინიმუმ 55%-ით შეამცირებს და 2050 წლისთვის მათ დასახლებებს კლიმატურ-ნეიტრალურს გახდის და მათ მედეგობისად და ენერგოუსაფრთხოებას ამაღლების საშუალებით (სურათი 1). შესაბამისად,, ამჟამად ინიციატივა სამ ქვაკუთხედზეა დაფუძნებული: სათბურის გაზების ემისიების შემცირება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირება. ამ სამი მიმართულებით აღებული თამამი ვალდებულებებითა და ღონისძიებებით, მუნიციპალიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროპული მწვანე შეთანხმების მიზნებისა და პარიზის შეთანხმების უმაღლესი ამბიციების მიღწევაში.

უფრო ფართო გაგებით, ევროკავშირის მერების შეთანხმება ევროკავშირის მიერ წამოწყებული მზარდი რაოდენობის ინიციატივების ნაწილია, რომლებიც მიზნად ისახავს ქალაქების, დაბებისა და რეგიონების მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების მცდელობებში, მათ შორისაა ევროკავშირის მისია 2030 წლისთვის 100 კლიმატ-ნეიტრალური და ჭკვიანი ქალაქის შესახებ,

ევროკავშირის მისია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესახებ და ევროკავშირის „მწვანე ქალაქის შეთანხმება“.[1]

სურათი 1. მერების შეთანხმების განვითარება 2050 წლამდე



წყარო: მერების შეთანხმების ევროპის ვებგვერდი

2008 წლის შემდეგ, ევროკომისიის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც მერების შეთანხმების ინიციატივის „აღმოსავლეთ და სამხრეთ სამეზობლო ქვეყნებში“ (2011წ.) და მოგვიანებით სუბსაჰარის აფრიკის ქვეყნებში გაფართოებას ემსახურებოდა (2012წ.), მერების შეთანხმება (CoM) ინიციატივა გაიზარდა და გაცდა ვროკავშირის ფარგლებს,

2017 წელს, მერების შეთანხმება მერების კომპაქტს შეერწყა[2], რის შედეგადაც ცმოყალიბდა მერების კლიმატისა და ენერგეტიკის გლობალური შეთანხმება (GCoM). წლების განმავლობაში, GCoM გადაიქცა ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების უდიდეს საერთაშორისო ალიანსად, რომელსაც აერთიანებს გრძელვადიანი ხედვა – ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ნებაყოფლობით ქმედებებს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად და დაბალნახშირბადიანი მდგრადი საზოგადოებისკენ გადასასვლელად. GCoM-ის მხარდაჭერის ფარგლებში, ევროკომისიამ დააფინანსა რეგიონული და ეროვნული შეთანხმების ოფისები ამერიკასა და აზიაში.

რეგიონული ოფისების, მუნიციპალური და რეგიონული ქსელებისა და ეროვნული მთავრობების მხარდაჭერით, GCoM აერთიანებს ნებაყოფლობითი ვალდებულების მქონე მუნიციპალიტეტებს ვ, მხარი დაუჭიროონ და წარმოაჩინონ ადგილობრივი წვლილი პარიზის შეთანხმების მიზნების მიღწევაში. ეს კოალიცია აერთიანებს 147 ქვეყანის, 13558 მუნიციპალიტეტს, რომელტა საერთო მოსახლეობა აღწევს 1.2 მილიარდზე მეტ ადამიანს (მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 15%) (მერების გლობალური შეთანხმება, 2024) .

ყველა ეს ინიციატივა ერთობლივად, წარმოაჩენს ევროკომისიის ძლიერ და მზარდ ძალისხმევას ერთგულებას ადგილობრივი თემების მხარდაჭერის მიმართ, ასევე მრავალდონიანი მმართველობის მიდგომის მნიშვნელობას მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების ამბიციური ქმედებების ხელშესაწყობად.

---

1 ამ ინიციატივების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებგვერდზე „ადგილობრივი და რეგიონული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები“, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://climate.ec.europa.eu/eu-action/local-and-regional-climate-action_en

2 მერების შეთანხმება გაეროს მერებსა და ქალაქის ჩინოვნიკებს შორის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი იყო, რომლის მიზანიც სათბურის გაზების ემისიების შემცირება, პროგრესის თვალყურის დევნება და კლიმატის ცვლილების შედეგებისთვის მზადება იყო. ინიციატივა, რომელიც ლიმა-პარიზის სამოქმედო დღის წესრიგის (LPAA) ნაწილია, 2014 წელს ნიუ-იორკში გაეროს კლიმატის სამიტზე წამოიწყო ქალაქებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებში გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა, მაიკლ რ. ბლუმბერგმა, მსოფლიოს გლობალური ქალაქების ქსელების – C40 Cities Climate Leadership Group (C40), Local Governments for Sustainability (ICLEI) და United Cities and Local Governments (UCLG) ხელმძღვანელობით – UN-Habitat-ის, გაეროს წამყვანი სააგენტოს, მხარდაჭერით ურბანულ საკითხებში.

1.2. მერების შეთანხმება აღმოსავლეთით

2011 წლის სექტემბერში, „მერების შეთანხმების“ ინიციატივა გავრცელდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე და დაიწყო „მერების შეთანხმების აღმოსავლეთით“ ინიციატივა. პირველ ფაზაში (2011-2015) ჩართული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 11 ქვეყანა. 2017 წლიდან ინიციატივა მორგებული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების კონკრეტულ საჭიროებებზე და დღეს ის მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინას.

თავდაპირველად ენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებული ემისიების შემცირებაზე იყო ფოკუსირება, ხელმომწერებმა 2020 წლისთვის CO_2- ის ემისიების მინიმუმ 20%-ით შემცირება და მდგრადი ენერგიის სამოქმედო გეგმის (SEAP) შემუშავება და განხორციელება აიღეს ვალდებულებად. 2016 წლიდან კი, 2030 წლისთვის ემისიების 30%-ით შემცირების მიზნის დასახვით და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ჩართვით, „მერების შეთანხმება აღმოსავლეთის“ მუნიციპალიტეტები SEAP-ების (მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა) შემუშავებიდან მეკსგ/SECAP-ების (მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა)ის შემუშავებაზე გადაერთნენ. „მერების შეთანხმება აღმოსავლეთის“ ემისიების შემცირების 2030 წლის მიზანი 2021 წელს კიდევ უფრო გაიზარდა და 35%-ს მიაღწია.

ამჟამად, რეგიონული გრძელვადიანი ვალდებულება მიზნად ისახავს CO_2- ის (და შესაძლოა სხვა სათბურის გაზების) ემისიების მინიმუმ 60%-ით შემცირებას 2050 წლისთვის 1990 წლის ემისიების დონესთან შედარებით, ან მინიმუმ 40%-ით 2050 წლისთვის 2005 წლის შემდგომი საბაზისო წლის ემისიების დონესთან შედარებით, ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDCs) ვალდებულებების შესაბამისად უფრო ამბიციური გრძელვადიანი მიზნების დასახვისა და 2050 წლისთვის კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევის მცდელობებით. გარდა ამისა, ხელმომწერები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ ზომები მათი ტერიტორიების მდგრადობის გასაზრდელად. კლიმატის ცვლილების ზეგავლენასთან ადაპტაციით, ასევე ენერგეტიკული სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ერთ-ერთი მთავარი ქმედება სამართლიანი გარდაქმნისა და ხელმისაწვდომ, უსაფრთხო და მდგრად ენერგიაზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

2025 წლის იანვრის მონაცემებით, მერების შეთანხმება – აღმოსავლეთითაერთიანედა სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინაის 540 მუნიციპალიტეტს, და შესაბამისად ხელს უწყობდა ამ მუნიციპალიტეტებში ეფექტური კლიმატური პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას (დევიდი და სხვ. 2026). მერების შეთანხმების თანახმად, ხელმომწერები ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას შეიმუშაონ და განახორციელონ მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP), რომელიც წარმოადგენს სტრატეგიულ და სამოოპერატიულ ინსტრუმენტს, მასში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ აპირებს მუნიციპალიტეტი შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები შეთანხმების სამი მიმართულებით: სათბურის გაზების (GHG) ემისიების შემცირება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ენერგეტიკული სიღარიბის შემსუბუქება. მეკსგ/SECAP-ი ადგენს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც უნდა იქნას მიღწეული გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის ფარგლებში, ასევე აყალიბებს დაგეგმილი ღონისძებების განხორციელების გზამკვლევს, ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტრატეგიების შესაბამისად.

წინმდებარე სახელმძღვანელოს მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტებისთვის, შესაბამისი მითითებების საშუალებით, მეკსგ/SECAPყოვლისმომცველი, თანმიმდევრული და ეფექტური სამოქმედო გეგმის – მეკსგ/SECAP-ის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის მხარდაჭერა

1.3. კლიმატისა და ენერგეტიკის რეგიონულიპოლიტიკის კონტექსტი

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) 2009 წელს დაფუძნდა, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) აღმოსავლეთ განზომილება. პარტნიორობის მიზანია ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის „პარტნიორ ქვეყნებთან“ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება და გაღრმავება. აღმოსავლეთ პარტნიორობა მხარს უჭერს მრავალი გლობალური პოლიტიკური მიზნის მიღწევას, მათ შორისაა კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმება და გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs). EaP-ის მიზანია, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალურ სტრატეგიის[3] შესაბამისად, წვლილი შეიტანოს ევროკავშირის მეზობლების სტაბილურობის, კეთილდღეობისა და მდგრადობის გაზრდის პროცესში.

2017 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-5 სამიტზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, საკუთარი „2020 წლისთვის 20 შედეგის“ მეშვეობით[4], აღმოსავლეთ პარტნიორობა მუშაობდა საერთო რეფორმების დღის წესრიგზე, რათა მიღწეულიყო შედეგები და გაუმჯობესებულიყო ცხოვრება ოთხი ძირითადი პოლიტიკური მიმართულებით: (1) უფრო ძლიერი ეკონომიკა; (2) უფრო ძლიერი მმართველობა; (3) უფრო ძლიერი დაკავშირებულობა; და (4) უფრო ძლიერი საზოგადოება – გენდერის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და სტრატეგიული კომუნიკაციის გამჭოლ მიზნებთან ერთად.

2019 წელს ფართომასშტაბიანმა და ინკლუზიურმა კონსულტაციამ საფუძველი ჩაუყარა 2020 წლის შემდგომ დღის წესრიგს, რის შედეგადაც შეიქმნა ერთობლივი კომუნიკაცია: „აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა 2020 წლის შემდეგ: მედეგობის გაძლიერება – აღმოსავლეთ პარტნიორობა, ერთობლივი სარგებლისათვის“[5] და „საბჭოს გადაწყვეტილებები 2020 წლის შემდგომი პერიოდის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შესახებთვის“[6], რომელიც მოიცავს პარტნიორობის ახალ ხედვას, სადაც მედეგობა/მდგრადობა ყოვლისმომცველი პოლიტიკის ჩარჩოდაა წარმოჩემილი და და მოცემულია ხუთი გრძელვადიანი პოლიტიკური მიზანი. სხვა საკითხებთან ერთად, ევროკავშირი, მისი წევრი სახელმწიფოები და პარტნიორი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ერთად იმუშავებენ მედეგი, მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკის ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი და კლიმატისადმი მდგრადობის პროგრესის მისაღწევად.

ეს ახალი დღის წესრიგი უფრო დეტალურად არის ასახული 2021 წლის ივლისში მიღებულ „ერთობლივსამუშაო დოკუმენტში: აღდგენა, მდგრადობა და რეფორმები: 2020 წლის შემდგომი აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები“[7] აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი დღის წესრიგი მოიცავს ქვეყნების თითოეული პარტნიორი ქვეყნისთვის ფლაგმანური ინიციატივების ერთობლიობას და მმართველობის საკითხებს, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მხარდაჭერას და შენარჩუნებას, ასევე ხელს შეუწყობს ისეთი მდგრადი და სამართლიანი საზოგადოებების კონსოლიდაციას, რომლებიც არავის ტოვებს უყურადღებოდ. გეგმის მიზანია 17 მილიარდ ევრომდე სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების მოზიდვა სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროში, რაც მოიცავს გაუმჯობესებულ სატრანსპორტო კავშირს, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დაფინანსებაზე წვდომას, კაპიტალში ინვესტიციებს კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად და ევროკავშირის ღირებულებათა ჯაჭვებში ინტეგრაციისთვის, ციფრული გარდაქმნის მხარდაჭერას, გარემოსა და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობაში ინვესტიციებს, მათ შორის

3 საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია

4 2020 წლის 20 მიღწევადი შედეგი

5 აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა 2020 წლის შემდეგ: მდგრადობის გაძლიერება – აღმოსავლეთ პარტნიორობა, რომელიც ყველასთვის სასარგებლოა

6 საბჭოს დასკვნები აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შესახებ 2020 წლის შემდეგ

7 ერთობლივი შტაბის სამუშაო დოკუმენტი: აღდგენა, მდგრადობა და რეფორმა: 2020 წლის შემდგომი აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები

ენერგოეფექტურობას, ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

კლიმატის ცვლილებასა და მდგრად ენერგიას პირდაპირ და ირიბად ეხება 2025 წლის ათი მთავარი მიზნიდან რამოდენიმე, რომლებსაც მაღალი ტრანსფორმაციული გავლენა აქვთ მოქალაქეებსა და ბიზნესზე, როგორიცაა:

- მდგრად ენერგეტიკაში ინვესტირება შესაძლებლობას მისცემს დაახლეობით 250000-ჯახს მინიმუმ 20%-ით შეამციროს ენერგიის მოხმარების
- გარემოსა და კლიმატის სფეროში ინვესტიციების განხორციელება, რათა კიდევ 3 მილიონ ადამიანს მიეცეს უსაფრთხო წყლის მომსახურებაზე წვდომის საშუალება; ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და გაუმჯობესება 300 ქალაქში.
- ინვესტირება მდგრად და ჭკვიან დაკავშირებადობაში, მათ შორის 3000 კმ პრიორიტეტული გზებისა და რკინიგზის მშენებლობაში ანდა განახლებაში.

ამ პოლიტიკური კონტექსტის ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის მერების შეთანხმების ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აერთიანებს მუნიციპალიტეტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებს, რათა მხარი დაუჭიროს აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნებს და ამავდროულად, მხარი დაუჭიროს გრძელვადიან საერთაშორისო, ევროკავშირის და ეროვნულ მიზნებს შერბილების, ადაპტაციისა და ენერგეტიკული სიღარიბის კუთხით.

სარკმელი 1. სახელმძღვანელოში გამოყენებული ძირითადი განმარტებები

შერბილება(მიტიგაცია) – ადამიანის ჩარევა ემისიების შესამცირების ან სათბურის გაზების შთანთქმის გაძლიერეის მიზნით. კლიმატურ პოლიტიკაში შერბილების ღონისძიებებს წაროადგენენ ტექნოლოგიები, პროცესები ან პრაქტიკა, რომლებიც ხელს უწყობენ შერბილებას, მაგალითად, განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები, ნარჩენების მინიმიზაციის პროცესები და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის პრაქტიკა. შერბილების შესაძლებობა მოიცავს ტექნოლოგიას ანდა პრაქტიკას, რომელიც შედეგადაც მცირდება სათბურის გაზების (GHG) ემისიები (IPCC 2022) .

ადაპტაცია(შეგუება) – არსებულ ან მოსალოდნელ კლიმატურ პირობებთან და მის შედეგებთან ადაპტაციის პროცესს, რათა შემცირდეს ზიანი ან სარგებელი მიიღოთ ახალშექმნილი შესაძლებლობებიდან. ბუნებრივ სისტემებში ეს ეხება ფაქტობრივ კლიმატთან და მის შედეგებთან ადაპტაციის პროცესს; ადამიანის ჩარევამ შეიძლება ხელი შეუწყოს მოსალოდნელ კლიმატთან და მის შედეგებთან ადაპტაციას. ადაპტაციის ვარიანტები მოიცავს სტრატეგიებისა და ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ხელმისაწვდომია და შესაფერისია ადაპტაციის მოსაგვარებლად. არაადაპტაციურმა ქმედებებმა (არაადაპტაციამ) შეიძლება გამოიწვიოს კლიმატთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების გაზრდილი რისკი, მათ შორის სათბურის გაზების ემისიების ზრდით, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის ზრდით ან შეცვლით, უფრო უთანასწორო შედეგებით ან კეთილდღეობის შემცირებით, ახლა ან მომავალში. ყველაზე ხშირად, არასაკმარისი ადაპტაცია იწვევს გაუთვალისწინებელ შედეგებს (IPCC 2022) .

ენერგეტიკული სიღარიბე საყოფაცხოვრებო ენერგომოხმარების იმგვარი შემცირება, რომელიც უარყოფითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. მას ძირითადად სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: i) ენერგიის ხარჯების მაღალი წილი ii) დაბალი შემოსავალი iii) შენობებისა და ტექნიკის დაბალი ენერგოეფექტურობა[8].

1.4. სახელმძღვანელოს შესახებ

დღიდან მისი დაარსებისა, ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრი (JRC) პასუხისმგებელია მერების შეთანხმების ინიციატივისთვის სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის გაწევაზე JRC-ის როლია უზრუნველყოს ინიციატივის შესაბამისობა შეთანხმების კლიმატისა და ენერგეტიკის რეგიონულ ვალდებულებებთან, ასევე მისი სამეცნიერო თავსებადობა და სანდოობა. JRC-ის მანდატის მნიშვნელოვანი ნაწილია დაეხმაროს ხელმომწერ მუნიციპალიტეტებს სამოქმედო

[8] ევროკომისიის ვებგვერდი ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ

გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, რაც მოიცავს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნასაც.

2025 წლის CoM East-ის სახელმძღვანელოს მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტებისთვის ყოვლისმომცველი, თანმიმდევრული და ეფექტური მეკსგ/SECAP-ის შემუშავებაშისთვის საჭირო სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება და მიწოდება. CoM East-ის სახელმძღვანელო ასახავს მთელი პროცესის მიმოხილვას და მეკსგ/SECAP-ის მომზადების ძირითად ელემენტებს. იგი წარმოადგენს CoM East-ის ხელმომწერებისა და მუნიციპალიტეტების საკვანძო ნაბიჯებისა და პრინციპების სახელმძღვანელოს, რომლებსაც სურთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართვა ინიციატივის მეშვეობით. CoM East-ის ხელმომწერებს შეუძლიათ დაეყრდნონ ხუთ დამატებით დოკუმენტს, რომლებიც შემუშავებულია CoM EU-ისთვის და რომლებიც იძლევა დამატებით დეტალურ მითითებებს ტექნიკურ ასპექტებზე და შეესაბამება CoM East-ის კონტექსტს:

1. როგორ მოვამზადოთ სათბურის გაზების ემისიის ინვენტარიზაცია
2. როგორ მოვამზადოთ რისკებისა და მოწყვლადობის შეფასება
3. როგორ მოვამზადოთ ენერგეტიკული სიღარიბის შეფასება
4. როგორ დავგეგმოთ შერბილების, ადაპტაციისა და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების ღონისძიებები
5. ფინანსური ინსტრუმენტები შერბილების, ადაპტაციისა და ენერგეტიკული სიღარიბის ღონისძიებებისთვის

ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს 2018 წლის ვერსიის „როგორ შევიმუშაოთ მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (კონა და სხვ. 2018) მნიშვნელოვან განახლებას. იგი იძლევა განახლებულ ინფორმაციას ვალდებულებების შესახებ, საერთაშორისო კლიმატის პოლიტიკის მიზნების პროგრესის შესაბამისად და სიღრმისეულ მითითებებს ადგილობრივი კლიმატის ადაპტაციის შესახებ. გარდა ამისა, იგი გვთავაზობს დამატებით მითითებებს GCoM-ის საერთო ანგარიშგების ჩარჩოს (CRF) შემუშავების შემდეგ, კერძოდ, ენერგიაზე ხელმისაწვდომობისა და ენერგეტიკული სიღარიბის საკითხების შესახებ.


2. მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სმოქმედო გეგმა მეკსგ / SECAP

2.1. რა არის მეკსგ /SECAP?

მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP) არის ინტეგრირებული, სტრატეგიული და საოპერაციო გეგმა – ოფიციალურად დამტკიცებული მუნიციპალური საკრებულოს(არჩევითი ორგანოს) მიერ – რომელიც ასახავს ვალდებულებებსა და ღონისძიებებს კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან გამკლავებისა და მდგრადი ენერგეტიკული გადასვლის მიზნით შესაბამისი მუნიციპალიტეტში. მეგსკ-ს მუნიციპალური უწყებები ამუშავებენ, ადგენენ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც უნდა იქნას მიღწეული გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის ფარგლებში ასევე, ამ მიზნების მისაღწევად სხვადასხვა სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას და განხორციელების გზამკვლევს, რომელიც შეესაბამება ან აღემატება ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებს

მეკსგ/ მეკსგ/SECAP სტრუქტურირებულია სამი ქვაკუთხედის გარშემო, კერძოდ, კლიმატის ცვლილების შერბილება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ენერგეტიკული სიღარიბე, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთ ინტეგრირებულ დოკუმენტში ან ცალკეულ დოკუმენტებში (სურათი 2) . სურათი 2. მეკსგ/SECAP-ის სამი ქვაკუთხედი . თითოეული ქვაკუთხედისთვის ის ადგენს მიზანს და განსაზღვრავს, კონკრეტულ ვადებსა და ვალდებულებებს გრძელვადიანი სტრატეგიის ქმედებებად გარდაქმნით. მეკსგ/SECAP-ის შემუშავება, პირველ რიგში, უნდა ეფუძნებოდეს არსებული ადგილობრივი სიტუაციის ანალიზსა და შეფასებას.

სურათი 2. მეკსგ/SECAP-ის სამი ქვაკუთხედი



წყარო: JRC-ის შემუშავება, რომელიც დაფუძნებულია CoM East-ის ვალდებულების ტექსტზე[9]

პირველი ეტაპისთვის, ზემოაღნიშნული სამი მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზისთვის, უნდა შემუშავდეს შემდეგი სამი ინსტრუმენტი:

- **საბაზისო ემისიების ინვენტარიზაცია** (BEI) არის საბაზისო წლის სათბურის გაზების ემისიების კადასტრი. ის განსაზღვრავს ტერიტორიაზე ემისიების სხვადასხვა წყაროს და ეხმარება ხელმომწერებს სათბურის გაზების ემისიების შემცირების მიზნის მისაღწევად საუკეთესო ღონისძებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და დასახვაში.
- **რისკისა და მოწყვლადობის შეფასება** (RVA) განსაზღვრავს ადგილობრივ ტერიტორიაზე მოქმედ ყველაზე მნიშვნელოვან კლიმატურ საფრთხეებსა და მოწყვლად არეალებს, რაც ხელს უწყობს ადაპტაციის სტრატეგიის შემუშავებას და ასეთი რისკების მოსაგვარებლად შესაბამისი ადაპტაციური ღონისძებების გამოვლენას.
- და ბოლოს, **ენერგეტიკული სიღარიბის შეფასება** (EPOV) ხელს უწყობს ადგილობრივი ენერგეტიკული სიღარიბის პირობების გამოვლენას და მის აღმოფხვრის სტრატეგიების შემუშავებას.

კლიმატისა და ენერგეტიკის მდგრადი განვითარების გეგმაში (მეკსგ/SECAP) ასახული მიზნები და ღონისძებები უნდა იყოს ინტეგრირებული მუნიციპალიტეტების პოლიტიკის შემუშავებასა და დაგეგმვაში ყველა ორგანიზაციულ დონეზე. აღსანიშნავია, რომ შერბილების, შეგუების და ენერგეტიკული სიღარიბის ზოგიერთი საპექტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთმანეთს უნდა ავსებდეს. არნიშნული უნდა იქნას გათვალისწინებული და ასახული სექტორულ და გამჭოლი ღონისძებებში სინერგიისა და არსებული რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის მიზნით. გარდა

[9] კლიმატისა და ენერგეტიკის შესახებ მერების შეთანხმების ოფიციალური ტექსტი – CoM East ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://com-east.eu/library/official-text-of-covenant-of-mayors-on-climate-and-energy/

ამისა, მეკსგ/SECAP არ უნდა ჩაითვალოს ფიქსირებულ და ხისტ დოკუმენტად. ვინაიდან გარემოებები შეიძლება შეიცვალოს, შესაძლოა სასარგებლო ან აუცილებელი იყოს გეგმის რეგულარული გადახედვა მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების მუდმივად ცვალებად კონტექსტს და განხორციელებიდან მიღებულ დასკვნებს.

კარგად შემუშავებული მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, რომელიც შექმნილია ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან და თემებთან ერთად და მხარდაჭერილია მუნიციპალიტეტის უმაღლესი პოლიტიკური დონეების წარმოადგენლების მიერ, წარმოადგენს მოქმედების საერთო და კონკრეტულ გზამკვლევს. იგი ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმვას და ზრდის მისი წარმატებული განხორციელების შანსებს. ის ასევე იძლევა შესაძლებლობას, გაიზარდოს კლიმატის ცვლილებებითან დაკავშირებული ღონისძიებების ხილვადობა და მასშტაბურობა და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის იმიჯი.

იმ მომენტიდან, როდესაც მუნიციპალიტეტი შეუერთდება ხელმომწერის სტატუსით შემოუერთდება მერების შეთანხმებას, ის იღებს ვალდებულებას, ორი წლის განმავლობაში მოამზადოს და წარადგინოს მეკსგ/SECAP.

სარკმელი 2. შეიძლება თუ არა სხვა ინიციატივების ან პროექტების ფარგლებში შემუშავებული კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმები ჩაითვალოს ვალიდურად, როგორც მეკსგ/SECAP მერის თანამშრომლობის საბჭოს აღმოსავლეთის კონტექსტში?


კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმები, რომლებიც შეესაბამება მერების შეთანხმების პრინციპებს, ვალდებულებებსა და ფარგლებს, შეიძლება ჩაითვალოს მეკსგ/SECAP-ების ეკვივალენტად. სამოქმედო გეგმამ უნდა აჩვენოს ვალდებულების დონე, რომელიც ტოლია ან აღემატება CoM East-ის მიერ დადგენილ სამიზნე მაჩვენებლებს, უზრუნველყოს მინიმალური საჭირო დაფარვა საკითხების, ჩარჩოს, სექტორების, ვადებისა და გეოგრაფიული საზღვრების თვალსაზრისით და ასახავდეს ყველა ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სტატუს კვოს შეფასებასთან, მიზნების დასახვასთან, ღონისძებების დაგეგმვასთან, მონიტორინგთან და ანგარიშგებასთან, როგორც ეს აღწერილია ამ სახელმძღვანელოში. სხვა დოკუმენტების გამოყენება შესაძლებელია მეკსგ-სთვის საჭირო ინფორმაციის შესავსებად.

2.2. მასშტაბი

მდგარადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP) ფოკუსირებულია ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ ღონისძიებებზე და მოიცავს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში არსებულ სექტორებსა და ღონისძიებ. შესაბამისად, ის, ფარავს მუნიციპალიტეტის იურისდიქციის ქვეშ მყოფ გეოგრაფიულ არეალს და მოიცავს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორებზე გავლენის მქონე ღონისძებებს.

რადგან მეკსგ/SECAP მოიცავს კლიმატის ცვლილების შერბილებას, ადაპტაციას (კლიმატისადმი მედეგობა) და ენერგეტიკულ სიღარიბეს, მუნიციპალიტეტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ აქტივობებსა და სექტორებზე, რომლებშიც, მაგალითად, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ენერგიის გამოყენებასა და ენერგიის წყაროებზე, მიწათსარგებლობის დაგეგმვასა და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში (სურათი 3).

სურათი 3. ღონისძიებების მაგალითები თემატიკის მიხედვით



წყარო: JRC-ი

კლიმატის ცვლილების შერბილების (მიტიგაცია) ძირითადი სამიზნე სექტორები, რომლებიც ინვენტარიზაციასა და ღონისძიებებში უნდა იყოს გათვალისწინებული, არის შენობები, მოწყობილობები/ნაგენბობები ი (საცხოვრებელი, კომერციული და მუნიციპალური) და რივი ტრანსპორტი. ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმამ (მეკსგ/SECAP) უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია ამ სექტორებიდან წარმოქმნილი ემისიების შესახებ და ასახავდეს მათ შემცირების ღონისძებებს. ასეთი შესაძლეო ღონისძიებებია: მოიცავდეს შენობებისა და ტრანსპორტის სექტორში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა, ენერგოეფექტური პროდუქტების სტიმულირებას ან მდგრადი ელექტროენერგიის ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას, მაგალითად, მზის ფოტოელექტრული (PV), ქარის ენერგიის, კომბინირებული თბოელექტროსადგურის (CHP) გამოყენებით, ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოების გაუმჯობესებას და ადგილობრივი სითბო/სიცივის გენერაციას. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა მოქალაქეებს მაგალითი მიცეს საკუთარი შენობებისა და ენერგეტიკული ობიექტების, ასევე მუნიციპალური ავტოპარკისა და მისი გამოყენების შესახებ ამბიციური ზომების მიღებით.

კლიმატის ცვლილებასთან შეგუებისთვის (ადაპტაცია), მეკსგ/SECAP-ში დაფარული უნდა იყოს ის სექტორები, ტერიტორიები და მოსახლეობა, რომლებიც, სავარაუდოდ, ყველაზე მოწყვლადი იქნებიან კლიმატის ცვლილების მიმართ. მოწყვლადი სექტორები (მაგ. შენობები, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, წყალი, ნარჩენები, მიწათსარგებლობის დაგეგმვა, გარემო და ბიომრავალფეროვნება, სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა, ჯანდაცვა, სამოქალაქო დაცვა და საგანგებო სიტუაციები, ტურიზმი), ასევე საფრთხეების ინტენსივობა და სიხშირე შეიძლება მნიშვნელოვნად

განსხვავდებოდეს ქალაქის პერიმეტრებში, ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორეში და ურბანული ტერიტორიებიდან უფრო სასოფლო დასახლებებამდე სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია იმ ტერიტორიების საფრთხეებისა და მოწყვლადობის ღრმა გაგება, რომლებზეც პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი, ისეტი ღონისძიებების დაგეგმვა რაც უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების დაცვას.

ენერგეტიკული სიღარიბის თვალსაზრისით, მეკსგ/SECAP-ის მიზანია მუნიციპალიტეტის საზღვრებში ენერგეტიკული სიღარიბის შესაბამისი პირობების განხილვა. ამის საფუძველზე, მუნიციპალიტეტი მეკსგ/SECAP-ს შეფასებას გამოიყენებსწარმოქმნილი ენერგეტიკული სიღარიბის მიზეზების მოსაგვარებლად საჭირო მიზნების დასადგენად და ღონისძიებების შესამუშავებლად. და. ღონისძიებები დაჯგუფებულია ხუთ მაკრო-სფეროში, რომლებიც მოიცავს ენერგიაზე წვდომისა და ენერგეტიკული სიღარიბის სხვადასხვა საკითხებს: კლიმატი, ნაგებობები/ საყოფაცხოვრებო სექტორი, მობილურობა, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და მარეგულირებელი ჩარჩოები, ჩართულობა/ცნობიერების ამაღლება და შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ მეკსგ/SECAP, როგორც წესი, ერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიას მოიცავს, მუნიციპალიტეტების ჯგუფმაც შეიძლება გადაწყვიტოს ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ეს ვარიანტი განსაკუთრებით მცირე მუნიციპალიტეტებისთვისაა შესაფერისი, რადგან ის მათ საშუალებას აძლევს ისარგებლონ თანამშრომლობითი დაგეგმვისა და ერთობლივი ქმედებების (ოპერაციული და შესაძლოა ფინანსური) სარგებლით. დამატებითი დეტალები მოცემულია 7.1- ში .

2.3. ვადები

მდგარადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (მეკსგ/SECAP) უნდა წარმოაჩენდეს მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად განსახორციელებელი სტრატეგიული ქმედებების მკაფიო მონახაზს. ვადები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ და რეგიონულ კონტექსტსა და სტრატეგიებს. მუნიციპალიტეტი, რომელიც შეუერთდება მერების შეთანხმებას(CoM), იღებს ვალდებულებას, დააწესოს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მიზნები (შესაბამისი CoM-ის აღმოსავლეთის რეგიონულ მიზნებთან და სულ მცირე ისეთივე ამბიციური, როგორც ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტით (NDCs) არის დადგენილი და მიზნად უნდა ისახავდეს კლიმატერი ნეიტრალიტეტის მიღწევას 2050 წლისთვის. თუ მეკსგ/SECAP მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (მაგ. 2050 წლამდე), ის ასევე, აუცილებლად უნდა ასახავდეს მოკლევადიან, 2030 წლის მიზნებსაც. ან იდეალურ შემთხვევაში ყოველი მომდევნო ხუთი წლისთვის. ასეტი დაგეგმვა შესაძლებელს ხდის კლიმატ ნეიტრალიტეტის მიზნისკენ მიმავალი გზის გამჭირვალეობას.

რადგან ასეთი ხანგრძლივი ვადით კონკრეტული ღონისძიებებისა და ბიუჯეტის დეტალურად დაგეგმვა ყოველთვის შეუძლებელია, რეკომენდებულია მეკსგ/SECAP-ის მომზადება შემდეგი თანმიმდევრობით:

- გრძელვადიანი ხედვა, სტრატეგია და მიზნები, მათ შორის მკაფიო ვალდებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა მიწათსარგებლობის დაგეგმვა, ტრანსპორტი და მობილობა, სახელმწიფო შესყიდვები, ახალი/ რებილიტირებული შენობების სტანდარტები, მაგალითად, 2050 წლისთვის;
- დეტალური მიზნები და ღონისძებები, რომელთა მიღწევა, განხორციელება და მონიტორინგი უნდა მოხდეს მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში (როგორც წესი, 2030 წლისთვის ან მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში), რაც გრძელვადიანი მიზნების მიღწევის ეტაპს წარმოადგენს.

2.4. მეკსგ/ SECAP-ის ძირითადი ელემენტები

კარგად სტრუქტურირებული მეკსგ-ს მეკსგ/SECAP-ის შესაქმნელად, მუნიციპალიტეტებს ურჩევენ, ყურადღება მიაქციონ 10 აუცილებელ ელემენტს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია მთელი პროცესის წარმატებისთვის და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების საქმინობის წარმართვას მეკსგ/SECAP-ის დიზაინის, შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში. ისინი შეჯამებულია სურთათი 4- ში .

სურათი 4. მეკსგ/SECAP-ის 10 ძირითადი ელემენტი



წყარო: JRC-ის შემუშავება

ეს 10 ძირითადი ელემენტი დეტალურად არის არწერილი ამ სახელმძღვანელოს შემდგომ თავებში. ისინი დაჯგუფებული ოთხ ძირითად ეტაპად მეკსგ/SECAP პროცესის ფაზების მიხედვით: i) საწყისი ფაზა, ii) არსებული მდგომარეობის შეფასება და მიზნების

განსაზღვრა, iii) ღონისძიებების განსაზღვრა და სტრატეგიები, iv) განხორციელება და მონიტორინგი. ცხრილი 1 ასახავს მეკსგ/SECAP-ის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ძირითად ეტაპებს, თითოეული ელემენტისთვის სახელმძღვანელოს შესაბამისი განყოფილების მითითებით.

ცხრილი 1. მეკსგ/SECAP- ის შემუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები

ფაზა	ძირითადი ელემენტი	სექცია
ეტაპი 1: საწყისი ფაზა	პოლიტიკური ნება და საკრებულოს ჩართულობა	3.1
	ყველა შესაბამისი მუნიციპალური დეპარტამენტის ჩართულობა	3.2
	დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეფექტური კომუნიკაცია	3.3
ეტაპი 2: არსებული მდგომარეობის შეფასებადა მიზნების განსაზღვრა	არსებული მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი და შეფასება	4.1
	ერთობლი ხედვის ჩამოყალიბება და აბიციური მიზნების დასახვა	4.2
ეტაპი 3: ღონისძიებების დაგეგმვა და სტრატეგიები	საკვანძო პრობლემების გადასაჭრელი ღონისძიებების შემუშავება	5.1
	შესაბამისი ფინანსური ფონდების გამოყოფა	5.2
	მეკსგ/SECAP-ის დამტკიცება და წარდგენა	5.3
ეტაპი 4: განხორციელება და მონიტორინგი	განხორციელების დეტალური სტრატეგიის შემუშავება საკვანძო ეტაპებისა და ინდიკატორების ჩათვლით	6.1
	მონიტორინგი და ანგარიშგება	6.2

წყარო: JRC-ის შემუშავება

3. მეკსგ/SECAP-ის საწყისი ფაზა

3.1. პოლიტიკური ვალდებულება და ოფიციალური ჩართულობა

პოლიტიკური ნება და საკრებულოს ჩართულობამერების შეთანხმების ხელმოწერას უნდა ადასტურებდეს საკრებულოს მიერ მიღებული ოფიციალური რეზოლუცია. ეს ნაბიჯი წარმოადგენს ინიციატივის მიზნებისა და პრინციპებისადმი ერთგულების დადასტურებას. ვალდებულების ეს პირველი აქტი შემდეგ დასტურდება მეკსგ/SECAP დოკუმენტის წარდგენით, რომელიც ასევე უნდა დაამტკიცოს საკრებულომ (ან მისმა ეკვივალენტურმა გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ). პოლიტიკური ნება ვალდებულება ასევე უნდა იყოს გამოვლენიილ მეკსგ/SECAP-ის განხორციელების განმავლობაში.

დაგეგმილი საქმიანობის წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მაღალი დონის მხარდაჭერა. უმნიშვნელოვანესია, რომ მუნიციპალიტეტის ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები პირები სრულად იყვნენ ჩართულნი მეკსგ/SECAP-ის მომზადების პროცესში, უზრუნველყონ ხელმძღვანელობა და მკაფიო უფლებამოსილება მიანიჭონ შესაბამის ტექნიკურ ჯგუფს /განყოფილებებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ გამოყონ ადეკვატური ადამიანური რესურსები, საკმარისი დრო და ბიუჯეტი მეკსგ/SECAP-ის მოსამზადებლად და განსახორციელებლად. პოლიტიკური ნება, ვალდებულება და ლიდერობა არის მამოძრავებელი ძალა, რომლებიც ასტიმულირებს მართვის ციკლს-ა.

მუნიციპალიტეტის ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ შემდეგში:[10]

- მეკსგ/SECAP-ის ხედვის ინტეგრირება სხვა დეპარტამენტების შესაბამის მიმდინარე საქმინაობებთან და ინიციატივებთან და მისი მუნიციპალური განვიტარების გეგმში ინტეგრირების უზრუნველყოფა;
- მეკსგ (SECAP) მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მისი განხორციელებისა და მონიტორინგის გრძელვადიანი ვალდებულების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მონაწილეობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფადა მხარდაჭერა;
- მეკსგ/SECAP პროცესში მოსახლეობის თანასმესაკუთრედ გახდომის უზრუნველყოფა,;
- საკუთარი ხედვის, შედეგების, გამოცდილებისა და ნოუ-ჰაუს გაზიარება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სხვა ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების წარმომადგენლებტან ირდაპირი თანამშრომლობისა და ურთიერთგაცვლის გზით, კლიმატის ცვლილების საერთო სამოქმედო დღის წესრიგის წინსვლის მიზნით.

მეკსგ/SECAP-ის დამტკიცების შემდეგ, პოლიტიკური ნება უნდა შენარჩუნდეს განხორციელებისა და მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში. როგორც უმაღლესი პასუხისმგებელი ორგანო, საკრებულო უნდა იყოს ინფორმირებული მეკსგ/SECAP-ის განხორციელების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს გეგმა.

პოლიტიკური ვალდებულებისკენ მიმავალი ერთი კონკრეტული გზა არ არსებობს. ადმინისტრაციული სტრუქტურები, პროცესები და პრაქტიკა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია ადგილობრივ კონტექსტზე. ამ მიზეზით, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს, თუ როგორ გააძლიეროს პოლიტიკური ნების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია მეკსგ/SECAP-ის წარმატებული შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

[10] შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ფიზიკური პირები ან ჯგუფები, როგორიცაა მერები, მერის მოადგილეები, დირექტორები, აღმასრულებელი ორგანოები, საქალაქო საბჭოები და ა.შ.

სარკმელი 3. რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ ადგილობრივი პოლიტიკური ნება

- მერს და სხვა ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიაწოდეთ ინფორმაცია მეკსგ/SECAP-ის მნიშვნელობისა და სარგებლის, ასევე საჭირო რესურსების შესახებ. დარწმუნდით, რომ პოლიტიკური ხელისუფლებისთვის წარდგენილი დოკუმენტები არის მკაფიო, მოკლე და ყოვლისმომცველი.
- მიაწოდეთ ინფორმაცია ძირითად პოლიტიკურ ჯგუფებს კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, გამოკვეთეთ ადგილობრივ დონეზე პოტენციური ზემოქმედება (უკვე დაფიქსირებული და სამომავლო რისკები) და ეფექტური რეაგირების მაგალითები.
- მკაფიოდ მიუთითეთ მუნიციპალური საბჭოს მიერ ამ სფეროში მიღებულ სხვა გადაწყვეტილებებსა და ვალდებულებებზე (მაგ., დაკავშირებული სტრატეგიები და გეგმები, ურბანული დღის წესრიგი).
- გამოიყენეთ შესაძლებლობები და სინერგია, მაგალითად, როდესაც მედია კლიმატის ცვლილების საკითხებზეა ორიენტირებული.
- გამოკვეთეთ კლიმატის პოლიტიკის სარგებელი (მაგ. სოციალური, ეკონომიკური, დასაქმების, ჰაერის ხარისხისა და ჯანმრთელობის). გზავნილი უნდა იყოს მარტივი, გასაგები და აუდიტორიაზე მორგებული.

3.2. ყველა შესაბამისი მუნიციპალური დეპარტამენტის ჩართულობა

მეკსგ/SECAP ის შემუშავება და განხორციელება რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც საფუძვლიან დაგეგმვასა და მუდმივ მართვას მოითხოვს. ის მოითხოვს თანამშრომლობასა და კოორდინაციას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა დეპარტამენტს შორის, როგორიცაა გარემოს დაცვა, მიწათსარგებლობა და სივრცითი დაგეგმარება, ეკონომიკა და სოციალური საკითხები, შენობებისა და ინფრასტრუქტურის მართვა, მობილობა და ტრანსპორტი, ბიუჯეტი და ფინანსები, სახელმწიფო შესყიდვები, ასევე კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა. აუცილებელია, რომ ამ დეპარტამენტებმა მეკსგ/SECAP განიხილონ, როგორც მათი ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, რომელიც შეესაბამება მიმდინარე და დაგეგმილ ადგილობრივ პროექტებსა და პროგრამებს და არა როგორც გარე ან დაკისრებული ამოცანა.

წარმატებული მეკსგ/SECAP ეფუძნება სექტორთაშორის და ჰოლისტურ მიდგომას, რომელსაც მხარს უჭერს მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა და დაკისრებული პასუხისმგებლობები. სხვადასხვა პოლიტიკას, მუნიციპალურ დეპარტამენტებსა და გარე ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა შეიძლება იყოს მთავარი დაბრკოლება. ამიტომ, მერების შეთანხმების ხელმომწერებმა უნდა შექმნან პირობები დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობის ხელშესაწყობად. დეპარტამენტებს უნდა დაეკისროთ შესაბამისი და მკაფიო დავალებები, სხვა შიდა კომპეტენციებთან პოტენციური სინერგიის (და კომპრომისების) გათვალისწინებით.

3.2.1. შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა

არსებული ორგანიზაციული სტრუქტურები (მაგ., ენერგომენეჯმენტის განყოფილება, მდგრადი განვითარების დღის წესრიგის კოორდინაცია) შეიძლება გამოყენებულ იქნას მერების შეთანხმების კონტექსტში. მეკსგ/SECAP-ის მომზადების პროცესის დასაწყისში უნდა დაინიშნოს კოორდინატორი (ინდივიდი ან მცირე ჯგუფი). ამ კოორდინატორს უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ხელისუფლებისა და ზემდგომი იერარქიის სრული მხარდაჭერა, ასევე საჭირო დრო და ბიუჯეტი დაგეგმილი ამოცანების შესასრულებლად. შეიძლება გათვალისწინებული იყოს კოორდინატორის მხარდასაჭერად სპეციალური

განყოფილება ან გუნდი[11]. მუნიციპალიტეტის ზომის მიხედვით, ასევე შეიძლება საჭირო გახდეს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა ამოცანებზე იქნებიან ორიენტირებული, როგორიცაა მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გაზიარება. მიუხედავად იმისა, რომ სპეციფიკა განსხვავდება კონკრეტული კონტექსტის მიხედვით, მარტივი ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება შემდეგი სახის (სურათი 5):

- **საორგანიზაციო კომიტეტი,** რომელიც შედგება პოლიტიკის შემქმნელებისა და უფროსი მენეჯერებისგან. მისი მისია იქნება პროცესის სტრატეგიული მიმართულებისა და საჭირო პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის სხვადასხვა დეპარტამენტში ინტეგრირება.
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან, ასევე საჯარო უწყებებისა და აკადემიური წრეების ექსპერტებისგან შემდგარი მეკსგ/SECAP-ის **სამუშაო ჯგუფი,** რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტის შექმნისპროცესზე, და პროგრესის მონიტორინგზე, რომლის შემდგომი სტრუქტურირება შესაძლებელია შემდეგნაირად:
  - თემატური ქვეჯგუფები, რომლებიც შედგება კლიმატისა და ენერგეტიკის დაგეგმვის მენეჯერებისგან, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტის ძირითადი პირებისგან, საჯარო უწყებებისგან, აკადემიური წრეების ექსპერტებისგან და ა.შ. მათი ამოცანა იქნება კონკრეტულ საკითხებზე საქმიანობის კოორდინაცია, შესაძლოა, მეკსგ/SECAP-ის შემუშაოვებაში ცართული იყვნენ არამუნიციპალური ძირითადი სექტორის წარმომდგენლებიც.
  - გამჭოლ საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფები, მათ შორის მუნიციპალური დეპარტამენტების წარმოამდგენელებიდა გარე ექსპერტები. ისინი დაეხმარებიან სათბურის გაზების შემცირების შესაძლებლობების, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობისა და ენერგეტიკული სიღარიბის გამოწვევების გაგებას მრავალი სექტორული პერსპექტივიდან გამომდინარე – და მუნიციპალიტეტის რეალურ საჭიროებების დადგენასა და მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

საორგანიზაციო კომიტეტს და სამუშაო ჯგუფს, ასევე ქვეჯგუფებს, სჭირდებათ მკაფიო ლიდერი და მკაფიოდ განსაზღვრული ისეთი მიზნები და ფუნქციები რომლებიც ასევე წაახალისებენ ერთობლივ საქმიანობასაც. მეკსგ/SECAP პროცესის კარგად გასაკონტროლებლად რეკომენდებულია რეგულარული შეხვედრების გრაფიკის შედგენა, კარგად განსაზღვრული დღის წესრიგითა და ანგარიშგების საერთო სტრატეგიით.

აუცილებელია, რომ მეკსგ/SECAP-ის ყველა კომპონენტი ინტეგრირებული იყოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი დეპარტამენტების სხვა საქმიანობებში და ინიციატივებში და ისინი მუნიციპალიტეტის საერთო დაგეგმვის ნაწილი უნდა გახდეს. მუნიციპალიტეტის შესაბამის თანამშრომლებს მოთამაშეებს უნდა დაეკისროთ საპასუხისმგებლო ვალდებულებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესისადმი ძლიერი თანასაკუთრების გრძნობისცამოყალიბება.

შიდა საკომუნიკაციო კამპანია შეიძლება დაეხმაროს სხვადასხვა დეპარტამენტის მუნიციპალური თანამშრომლების მოზიდვასა და მათ ჩართვას. მხარეებს შორის კომუნიკაციის ხელშესაწყობად და მონაცემთა გაზიარების ხელშესაწყობად, მუნიციპალიტეტის გუნდში უნდა შეიქმნას საკონტაქტო პირი.

[11] გარდამავალი გუნდის კონცეფცია და მისი სხვადასხვა ფორმები, როგორც ეს 100 კლიმატისადმი ნეიტრალური და ჭკვიანი ქალაქის მისიით არის გათვალისწინებული, მუნიციპალიტეტებს დაეხმარება ისეთი გუნდის შექმნაში, რომელიც მოიცავს კლიმატის ცვლილების განსახორციელებლად საჭირო როგორც შიდა, ასევე გარე უნარებს, შესაძლებლობებსა და რესურსებს. დამატებითი რესურსები იხილეთ ნაწილის ბოლოს.

სურათი 5. ორგანიზაციული სტრუქტურის მაგალითი



წყარო: JRC-ის შემუშავება

სარკმელი 4. მაგალითი: ხირდალანის ადმინისტრაციული სტრუქტურა

ხელმომწერი: ხირდალანი (აზერბაიჯანი) | მოსახლეობა: 195 200 | მიერთება: 2022

ხირდალანის მუნიციპალიტეტში მეკსგ/SECAP-ის განხორციელება არსებულ ადმინისტრაციულ სისტემაშია ინტეგრირებული. საჭირო მონაცემების შესაგროვებლად და მეკსგ/SECAP-ის მომზადების კოორდინაციისთვის შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს გეგმის მუნიციპალურ რუტინულ ოპერაციებში ინტეგრირებას და კვალიფიციური პერსონალის მიერ მხარდაჭერას.

დანიშნული ადგილობრივი კოორდინატორი ზედამხედველობას უწევს მუნიციპალურ დეპარტამენტებს, მერის ადმინისტრაციას, საკრებულოს და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას. ეს როლი უზრუნველყოფს, რომ სხვადასხვა დანაყოფებს შორის პასუხისმგებლობები გათანაბრდეს და მეკსგ/SECAP-ის განხორციელება თანმიმდევრული და კარგად კოორდინირებული იყოს.

სარკმელი 5. მაგალითი: ჩერნოვცის თემის „მეკსგ/SECAP სამუშაო ჯგუფი“

ხელმომწერი: ჩერნოვცის თემი (უკრაინა) | მოსახლეობა: 262 294 | მიერთება: 2021

ჩერნოვციმ მუნიციპალიტეტის კლიმატისა და ენერგეტიკის ინიციატივების კოორდინაციის მიზნით შექმნა მეკსგ/SECAP-ის ოფიციალური სამუშაო ჯგუფი. მერის ოფიციალური ბრძანებით შექმნილი ჯგუფი მოიცავს მერის მოადგილეს, საკრებულოს წევრებს, მუნიციპალური დეპარტამენტების ხელმძღვანელებს და ადგილობრივი წყალმომარაგებისა და გათბობის კომპანიების წარმომადგენლებს.

ეს სამუშაო ჯგუფი მუნიციპალიტეტის კლიმატისა და ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებული ცენტრალური საკოორდინაციო ორგანოს ფუნქციას ასრულებს.

მისი მოვალეობები მოიცავს:

მუნიციპალური ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება;

ადგილობრივი ენერგომონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება და მართვა;


ენერგიის მოხმარების მონაცემების შეგროვება და ანალიზი;

მეკსგ/SECAP-ის განხორციელების ზედამხედველობა და მონიტორინგი;

ადგილობრივი ინსტიტუტების ჩართვა მუნიციპალური ენერგომომხმარებლის სისტემაში;

მაცხოვრებლების ინფორმირება ენერგოეფექტურობისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით პროგრესის შესახებ.

არსებითად, ეს სტრუქტურა (შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ სურათზე) უზრუნველყოფს ჰორიზონტალურ კოორდინაციას მუნიციპალურ დეპარტამენტებს შორის, ვერტიკალურ კოორდინაციას ადგილობრივ კომუნალურ კომპანიებთან და საზოგადოებასთან თანმიმდევრულ ურთიერთობას, რაც ხელს უწყობს მეკსგ/SECAP-ის ეფექტურად განხორციელებას.



წყარო: თარგმანი ჩერნოვცის თემის სამოქმედო გეგმიდან (გვერდი 74)

დამატებითი რესურსები ორგანიზაციული სტრუქტურების შესახებ

NetZeroCities (2022). გარდამავალი გუნდის სახელმძღვანელო – კლიმატის ნეიტრალიტეტისკენ სამართლიანი გადასვლის ორგანიზება.

ტაველა ს., პესინა ა., იერვორთი მ., სპოერნდლი ს. (2019). დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სახელმძღვანელო პრინციპები. ანგარიში შემუშავებულია H2020 CoME EAsy პროექტის ფარგლებში.

3.2.2. ადამიანური რესურსების მობილიზაცია

მეკსგ/SECAP-ის მომზადება და განხორციელება მოითხოვს ადამიანური რესურსების სწრაფ მობილიზაციას. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მეკსგ/SECAP-ის

მოსამზადებლად და დაგეგმილი ქმედებების განსახორციელებლად საკმარისი კადრები იყოს ხელმისაწვდომი. ეს შეიძლება მოიცავდეს ადმინისტრაციის სხვა დონეებიდან მხარდაჭერის საჭიროებას, ჩართვას და რესურსების მოზიდვას.

სხვადასხვა სახის ადამიანური რესურსის მობილიზება:

- შიდა (არსებული): მუნიციპალიტეტის მართვის სტრუქტურაში უკვე არსებული ადამიანური რესურსები. მათი განაწილება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის არსებულ დეპარტამენტებში, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან მდგრადი განვითარების და/ან ენერგეტიკისა და კლიმატის საკითხებში, მეკსგ/SECAP პროცესთან დაკავშირებული ამოცანების ინტეგრირებით. შესაძლოა გათვალისწინებული იყოს სპეციფიკური ტრენინგები პერსონალის უნარების გასაუმჯობესებლად ტექნიკურ საკითხებში, მონაცემთა მართვაში, პროექტებისა და ფინანსურ მართვაში, საინვესტიციო პროექტების შემუშავებაში, საკომუნიკაციო ინსტრუმენტებსა და სხვა გამოვლენილ ხარვეზებში.
- შიდა (ახალი): თუ დეპარტამენტები და ადამიანური რესურსები არ არსებობს ან ის არასაკმარისია, ახალი დანაყოფების შექმნა შესაძლებელია მეკსგ/SECAP-ის შემუშვებისა და განხორციელების საჭიროებების შეფასების შესაბამისად.
- გარე რესურსები (აუთსორსინგი): თუ მუნიციპალიტეტში არსებულ პერსონალს არ გააჩნია საკმარისი ექსპერტიზა და ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით, გარე რესურსების გამოყენება შესაძლებელია შეზღუდული პერიოდის განმავლობაში ან მეკსგ/SECAP-ის ფარგლებში კონკრეტული დავალების შესასრულებლად. მეკსგ/SECAP-ის ტექნიკურ ნაწილებზე მუშაობის მხარდასაჭერად შესაძლებელია კერძო კონსულტანტების, მუნიციპალური ასოციაციის, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების დაქირავება. თუ ზოგიერთი დავალება აუთსორსინგზე გადადის, მუნიციპალიტეტმა მჭიდროდ უნდა აკონტროლოს კონტრაქტორების მუშაობა და მოითხოვოს მათგან დეტალური დოკუმენტაცია შესრულებული დავალებების შესახებ, რათა უზრუნველყოს მეკსგ/SECAP-ის ყველა ეტაპზე თანმიმდევრული და შეუფერხებელი პროგრესი.
- ერთობლივი რესურსები: თუ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკმარისი უნარები ან რესურსები საკუთარი მეკსგ/SECAP-ის შესაქმნელად და განსახორციელებლად (განსაკუთრებით მცირე მუნიციპალიტეტებს), მას შეუძლია გააერთიანოს ძალები სხვა მუნიციპალიტეტებთან ან მმართველობის სხვა დონეებთან. ერთობლივი რესურსების გამოყენების სხვადასხვა გზა არსებობს, როგორიცაა ერთობლივი მეკსგ/SECAP-ის შემუშავება მეზობელ მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციითა და თანამშრომლობით (ნაწილი 7.1) ან შეთანხმების კოორდინატორებისგან მხარდაჭერის მიღება (ნაწილი 7.2).

აღსანიშნავია, რომ მეკსგ/SECAP-ისთვის გამოყოფილი შიდა ადამიანური რესურსები შეიძლება განსაკუთრებით პროდუქტიული იყოს ფინანსური და სტრატეგიული თვალსაზრისით. შიდა რესურსების მაქსიმალურად ჩართვა უპირატესობას ანიჭებს პროცესისადმი უფრო მაღალ პასუხისმგებლობას, ზოგავს ხარჯებს და ხელს უწყობს მეკსგ/SECAP-ის განხორციელებას.

3.3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეფექტური კომუნიკაცია

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მონაწილეობითი თანაშექმნა ადგილობრივი გარემოსდაცვითი მმართველობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მეკსგ/SECAP-ის შემთხვევაში, საზოგადოებისა და ორგანიზაციების ჩართულობა დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორები და

საბოლოო მომხმარებლები კლიმატის ცვლილების ვალდებულებების შესრულებაში. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მონაწილეობითი მიდგომები გადამწყვეტია ძირითადი აქტორების ვალდებულებისა და პროცესის გამჭვირვალობის, ასევე მეკსგ/SECAP-ის სანდოობისა და ქმედებების მიღების უზრუნველსაყოფად. ისინი ასევე ხელს უწყობენ ქცევის ცვლილებებს საზოგადოების ყველა სეგმენტში და აღიარებულია, რომ დადებით გავლენას ახდენენ გარემოსდაცვითი მმართველობის შედეგებზე (Cattino and Reckien 2021; Rivas et al. 2021; Newig et al. 2023) .

3.3.1. დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და აღრიცხვა

დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და აღრიცხვა ერთობლივად შექმნილი, საერთო და ინკლუზიური მეკსგ/SECAP-ის შემუშავების პირველი ნაბიჯია. დაინტერესებული მხარეები არიან ფიზიკური პირები ან ჯგუფები:

- ვის ინტერესებზეც ახდენს გავლენას საკითხი;
- ვისი საქმიანობაც გავლენას ახდენს საკითხზე;
- რომლებიც ფლობენ/აკონტროლებენ სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციას, რესურსებსა და ექსპერტიზას;
- ვისი მონაწილეობა/ჩართულობაც საჭიროა წარმატებული განხორციელებისთვის.

დაინტერესებული მხარეების ყოვლისმომცველი სიის შექმნა წინაპირობაა მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც იწყებენ ადგილობრივი საზოგადოების მშენებლობას მეკსგ/SECAP პროცესის ეტაპებში ჩასართავად. ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების ფართო კატეგორიების გამოყოფა, რათა შემდეგ შემცირდეს და გამოვლინდეს სხვადასხვა ორგანიზაციის, ჯგუფის ან ერთეულის წარმომადგენლები.

კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში, ხუთმხრივი სპირალის მიდგომა განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ხუთ ქვესისტემას:

1. საგანმაანთებლო სისტემა (აკადემია, უნივერსიტეტები, უმაღლესი განათლების სისტემები და სკოლები);
2. ეკონომიკური სისტემა (მრეწველობა, ფირმები, მომსახურება და ბანკები);
3. პოლიტიკური სისტემა (სახელმწიფო და მმართველობა);
4. მედიაზე და კულტურაზე დაფუძნებული საზოგადოება (მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოება);
5. ბუნებრივი გარემო (აქტორები, რომლებიც წარმოადგენენ გარემოს/სოციალური ეკოლოგიის მაგალითებსა და ცოდნას).

ამ მოდელის მიხედვით, ცოდნის ცირკულაცია ერთი ქვესისტემიდან მეორეში იწვევს ცოდნის შექმნას, რაც სოციალურ-ეკოლოგიური გარდამავალი პერიოდისთვის ახალ იდეებს წარმოშობს. ცხრილი 2 გვთავაზობს დაინტერესებული მხარეების აღრცხვის მაგალითს ხუთჯერადი სპირალის მოდელის გამოყენებით.

ვინაიდან იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარეები შეიძლება განსხვავდებოდნენ მახასიათებლების, გავლენისა და ინტერესების მიხედვით, მნიშვნელოვანია აღრიცხვა მახასიათებლების, ზემოქმედების/ინტერესის დონისა და გადასაჭრელ ძირითად საკითხებთან მიმართებაში როლის მიხედვით. ზოგიერთმა სუბიექტმა ან ჯგუფმა შეიძლება წარმოადგინოს უფრო დიდი პოტენციური რისკი ან განსაკუთრებით მაღალი ინტერესები, რაც მათ ჩართულობას გეგმის წარმატებისთვის უფრო კრიტიკულს ხდის. ამ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს უფრო მჭიდრო მართვა, ხშირი მონიტორინგი და შესაძლოა ჩართულობის უფრო მაღალი დონე სჭირდებათ. არსებობს დაინტერესებული მხარეების აღრიცხვის სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომლებიც იყენებენ დიაგრამებს დაინტერესებული მხარეების ყველა ატრიბუტის ვიზუალიზაციისთვის. ეს შეიძლება დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს

იმის გაგებაში, თუ სად დგას ერთი დაინტერესებული მხარე სხვებთან შედარებით, გამოავლინოს ნიმუშები და დაინტერესებული მხარეები ჯგუფებად ორგანიზებაში საერთო ატრიბუტების საფუძველზე.

ცხრილი 2. ხუთჯერადი სპირალის მოდელის გამოყენებით კატეგორიზებული დაინტერესებული მხარეების მაგალითი

	სპირალი	კატეგორია	დაინტერესებული მხარე
ბუნებრივი გარემო *გასათვალისწინებელია აგრეთვე მხარეების რეგიონის თითოეულ დონეზე*	საგანათლებლო სისტემა	სკოლები, კვლევა და აკადემიური წრეები	უნივერსიტეტები
			სკოლები
			კვლევითი ცენტრები/ინსტიტუტები
			ექსპერტები
	ეკონომიკური სისტემა	ბიზნესი და ინდუსტრიები	მეწარმეები
			ადგილობრივი ინდუსტრიები
			სამშენებლო/სამშენებლო კომპანიები
			ფერმები/სოფლის მეურნეობა/საკვების კომპანიები
			საკონსულტაციო ფირმები
		ფინანსური პარტნიორები	ბანკები
			კერძო ფონდები
			ესკოები
			დაზღვევები
		კომუნალური კომპანიები	სატრანსპორტო/მობილობის კომპანიები
			ნარჩენების მართვის კომპანიები
			ენერგიის მიმწოდებლები
			წყლის მართვის კომპანიები
	პოლიტიკური სისტემა	საჯარო ორგანოები	ეროვნული/რეგიონული ადმინისტრაციები და/ან მეზობელი მუნიციპალიტეტები
			ადგილობრივი და რეგიონული გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული სააგენტოები
		სხვა სამთავრობო უწყებები	სამოქალაქო თავდაცვა (მაგ. პოლიცია და სახანძრო სამსახურები)
			სავაჭრო პალატები
			პორტის ხელმძღვანელობადა/ან სანაპირო დაცვა
			საავადმყოფოები/სასწრაფო დახმარების სამსახურები
	მედიაზე და კულტურაზე დაფუძნებული საზოგადოება	ფართო საზოგადოება	მაცხოვრებლები
			ტურისტები
		კულტურული/ სამოქალაქო საზოგადოების ასოციაციები	ადგილობრივი ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ქსელები
			ფონდები და მუზეუმები
			პროფკავშირები/მუშათა გაერთიანებები
			რელიგიური ჯგუფები და საზოგადოებები
			მოხალისეები
		კომუნიკაცია	ადგილობრივი მედია
			საინფორმაციო სააგენტოები

წყარო: JRC-ის შემუშავება

3.3.2. როგორ ჩავრთოთ დაინტერესებული მხარეები

გამოვლენისა და რეგისტრაციის შემდეგ, დაინტერესებული მხარეები მეკსგ/SECAP პროცესის დასაწყისიდანვე უნდა იყვნენ ჩართულნი, თუმცა სხვადასხვა ჩართული ჯგუფები შეიძლება სხვადასხვა ეტაპზე იყვნენ ჩართულნი. ზოგიერთ დაინტერესებულ ჯგუფს ასევე შეიძლება ჰქონდეს აქტიური როლი მეკსგ/SECAP-ის მომზადების

კონკრეტულ ამოცანებში. მაგალითად, ექსპერტებს, კომუნალურ კომპანიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სასარგებლო მონაცემების შეგროვებასა და გაზიარებაში, ასევე სანდო და პოლიტიკის შესაბამისი ინდიკატორების შეთავაზებაში. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე სიღრმისეული ჩართულობა კლიმატის ცვლილებასთან ადგილობრივი ადაპტაციისა და შერბილების ამბიციური და ტრანსფორმაციული დაგეგმვის მთავარი ელემენტია (კატინო და რეკინი, 2021) .

მეკსგ/SECAP-ის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სხვადასხვა ხარისხი არსებობს: ინფორმაციიდან დაწყებული ჩართულობის უფრო მაღალი დონეებით დამთავრებული, როგორიცაა კონსულტაცია, მონაწილეობა და უფლებამოსილება (იხილეთ ცხრილი 3). საერთო და ინკლუზიური მეკსგ/SECAP-ის შემუშავებისთვის, უნდა იყოს მიღწეული დაინტერესებული მხარეებისა და ცალკეული პირების მაქსიმალური მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის დიალოგსა და თანამშრომლობას.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით, ჩართულობის დონის მიხედვით (ცხრილი 3).

ცხრილი 3. საზოგადოების ჩართულობის მაგალითები

	ინფორმირება	კონსულტაცია	ჩართვა	თანამშრომლობა	გაძლიერება
ჩართულობის მიზანი	მიაწოდეთ საზოგადოებას შესაბამისი ინფორმაცია	საზოგადოებისგან ინფორმაციის შეგროვება	უზრუნველყოს საზოგადოების საჭიროებების და აქტივების ინტეგრირება პროცესში და დაგეგმვის ინფორმირება	უზრუნველყოს, რომ საზოგადოება ლიდერის როლს თამაშობდეს გადაწყვეტილებების განხორციელებაში	საზოგადოებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა
შეტყობინება საზოგადოებისთვის	*„ჩვენ გაცნობებთ“*	*„ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი აზრი“*	*„თქვენი ჩართულობის გამო ამ საკითხზე სხვაგვარად ვიფიქროთ (და შესაბამისად, ვიმოქმედოთ)“*	*„თქვენი მონაწილეობა და ექსპერტიზა კრიტიკულად მნიშვნელოვანია პრობლემის გადაჭრისთვის“*	*„დროა, ერთობლივად გამოვავლინოთ შესაძლებლობები ტრანსფორმაციული გადაწყვეტილებებისთვის“*
ჩართულობის მაგალითები	– ვებგვერდი – საინფორმაციო არხები – ვიდეოები – ინფოგრაფიკა – სოციალური მედია – რეკლამა და მედია დაფარვა – ნაბეჭდი მასალები – პრეზენტაციები და პირდაპირი ჩართვები – ექსპერტთა პანელი – დისპლეი/ექსპონატები – ადგილზე ვიზიტები/ტურები – საჯარო შეხვედრები	– გამოკითხვები – ხმის მიცემა – კვლევები – ინტერვიუები – ფოკუს ჯგუფები – ონლაინ ფორუმები – ონლაინ კომენტირება – სოციალური მედიის მოსმენა – სოციალური მედიის დისკუსია/მუნიციპალური შეხვედრები – სემინარები – კარდაკარ – სამზარეულოს საუბრები – ღია კარის დღეები/პოპ-აპ შეხვედრები – კომენტარების ველები	– ნედლი იდეების შეგროვება – თემების/სათემო ჯგუფების რეგისტრაცია – ციფრული ისტორიები – დიზაინი შარეტი – აზრების რეგისტრაცია – ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება (MSC) – ვიზიონერობა – სცენარების ტესტირება – მოსახლეობის პანელები – ჰაკათონები – მონაწილეობითი ბიუჯეტირება	– დიდი ჯგუფის შეხვედრები – დოკუმენტის თანაშექმნა – ონლაინ ჯგუფები – ღია სივრცეები – სამუშაო ჯგუფები/სასწავლო წრეები	– ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პლატფორმა – ამხანაგობები – ამხანაგობების იურიდიული წარმოადგენლები – საზოგადოების ინდიკატორებიაქტივებზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარება (ABCD)

წყარო: ადაპტირებულია Tamarack Institute-დან (2017) და Covenant of Meros – Europe-დან (2023)

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის მომზადება, რომელშიც დაინტერესებულ მხარეების როლი და ფუნქცია გაწერილაია მეკსგ-ს თითოეულიფაზისთვის, შეიძლება დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს პროგრესის

შეფასებაშიასევე, დაინტერესებული მხარეების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი ჩართულობის შესაძლო ბარიერების თავიდან აცილებაში (ცხრილი 4). გარდა ამისა, შეიძლება სასარგებლო იყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სპეციალისტებისა და ანიმატორების მოწვევა.

ცხრილი 4. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის შესაძლო მონახაზი (საილუსტრაციოდ)

ფაზა	სახელი/ წოდება/ სტატუსი	ტიპი (კატეგორია)	ინტერესი	გავლენა	როლი	კომუნიკაციური მიდგომა	მეთოდი	...
ეტაპი 1: I საწყისი ფაზა	სახელი	მუნიციპალური დეპარტამენტი (საჯარო ორგანო)	+++	+++	კოორდინაცია	ელ.ფოსტა, სატელეფონო ზარი	პერიოდული შეხვედრები	...
	სახელი	არასამთავრობო ორგანიზაცია (სამოქალაქო საზოგადოება)	++	++	ჩართულობა/ კონსულტაცია	ელ. ფოსტა	მოქალაქეთა პანელები	
	სახელი	მაცხოვრებლები (სამოქალაქო საზოგადოება)	++	+++	კონსულტაცია	საინფორმაციო ბიულეტენი/ კომუნიკაციის კამპანია	მოქალაქეთა გამოკითხვა	
	...							
ეტაპი 2: არსებული მდგომარეობის შეფასება და მიზნების დასახვა	სახელი	ექსპერტი (აკადემია)	+++	++	მონაცემთა შეგროვება/ ანალიზი	ელ.ფოსტა, ვიდეოზარი	სამუშაო ჯგუფი	
	სახელი	გარემოს დაცვის სააგენტო (საჯარო ორგანო)	++	++	მონაცემთა მიმწოდებელი/ ანალიზი	ელ. ფოსტა	სამუშაო ჯგუფი	
	სახელი	ენერგიის მიმწოდებელი (კომუნალური კომპანია)	++	+++	მონაცემთა პროვაიდერი	ელ.ფოსტა, შეხვედრა	სამუშაო ჯგუფი	
	სახელი	არასამთავრობო ორგანიზაცია (სამოქალაქო საზოგადოება)	++	++	ხედვის პარამეტრი	ელ. ფოსტა	მოქალაქეთა პანელები	
	...							
ეტაპი 3: ღონისძიებების დაგეგმვა და სტრატეგიები	სახელი	ბანკი (ფინანსური სექტორი)	+	+++	სპონსორი	სატელეფონო ზარი, შეხვედრა	იდეების გენერაცია	
	სახელი	არასამთავრობო ორგანიზაცია (სამოქალაქო საზოგადოება)	++	++	ჩართულობა/ მოქმედების განხორციელება.	ელ. ფოსტა	სემინარი	
	სახელი	კერძო ფირმა (ბიზნესი)	+	++	მოქმედება განხორციელდა.	სატელეფონო ზარი, ელ.ფოსტა	ჰაკათონი	
	სახელი	მაცხოვრებლები (სამოქალაქო საზოგადოება)	++	+++	მოქმედების დაგეგმვა/ განხორციელება	საინფორმაციო ბიულეტენი/ კომუნიკაციის კამპანია	მონაწილეობითი ბიუჯეტირება	
	...							
ეტაპი 4: განხორციელება და მონიტორინგი	სახელი	მუნიციპალური დეპარტამენტი (საჯარო ორგანო)	+++	+++	მონიტორინგი	ელ.ფოსტა, სატელეფონო ზარი	პერიოდული შეხვედრები	
	სახელი	ადგილობრივი ტელევიზია (კომუნიკაცია)	++	+++	შედეგების კომუნიკაცია	სატელეფონო ზარი, ელ.ფოსტა	პრესრელიზი	
	...	...						

წყარო: JRC-ის შემუშავება

სარკმელი 6. მაგალითი: ლუცკის გაერთიანებული თემის დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

ხელმომწერი: ლუცკის გაერთიანებული თემი (უკრაინა) | მოსახლეობა: 240 292 | მიერთება: 2022

2050 წლის კლიმატისა და ენერგეტიკის მიზნების მისაღწევად, პროცესში ჩართულია ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარე, რომლებიც წვლილს შეიტანენ პროექტის განხორციელებაში, სარგებელს მიიღებენ მეკსგ/SECAP ღონისძიებებით ან გვთავაზობენ ღირებულ იდეებსა და ექსპერტიზას.

ლუცკში ახალგაზრდებზე ორიენტირებული ჩართულობის ნათელი მაგალითია პროგრამა „ლუცკში ახალი STEM-განათლების ცენტრის ენერგეტიკული მოდერნიზაცია: კლიმატის ცვლილების ღონისძიებების ხელშეწყობა“ (2025–2028). მოწინავე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ინტერაქტიული ელემენტების ინტეგრირებით, ცენტრი რეალურ ცხოვრებაში დემონსტრაციულ სივრცეს წარმოადგენს, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ სუფთა ენერგიის სისტემების მოქმედებაში დაკვირვება. ეს პრაქტიკული გარემო ახალგაზრდებს ახალისებს განახლებადი ენერგიის, კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი ურბანული განვითარების შესწავლაში, რაც ხელს უწყობს კლიმატის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მდგრადი განვითარების ინიციატივების გრძელვადიან მხარდაჭერას მთელ საზოგადოებაში.

კიდევ ერთი მაგალითის სახით, ქალაქმა ლუცკმა დაიწყო მდგრადი ენერგიის დღეების კამპანია, რათა საზოგადოების ცნობიერება ამაღლებულიყო ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის როლის შესახებ ევროპის კლიმატის ცვლილების მიზნების მიღწევაში. კამპანია დაიწყო სკოლის მოსწავლეების, მუნიციპალური მყარი საწვავის საქვაბის შენობაში საგანმანათლებლო ვიზიტით, სადაც ისინი აგეცვნენ თანამედროვე ქვაბის მუშაობას, რომელიც 2019 წელს დამონტაჟდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის (E5P) ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში. ეს ინიციატივა ხაზს უსვამს ქალაქის ორმაგ ფოკუსს: სითბოს მიწოდების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და მოქალაქეების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, აქტიურ ჩართვას კლიმატისა და ენერგეტიკის შესახებ განათლებაში.

დამატებითი რესურსები დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ

NetZeroCities, მოკლე საკითხავი თემაზე „მოქალაქეთა მონაწილეობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა“ .

ტაველა ს., პესინა ა., იერვორთი მ., სპოერნდლი ს. (2019). დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სახელმძღვანელო პრინციპები . ანგარიში შემუშავებულია H2020 CoME EAsy პროექტის მიერ.

საზოგადოებრივი მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაცია, „IAP2 საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრი“ .

ევროპული კლიმატის პაქტი „სწრაფი ინსტრუმენტები მოქალაქეთა ჩართულობისთვის“.

3.3.3. კომუნიკაცია

კომუნიკაცია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას გარე და შიდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის, მოტივირებულობისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად მეკსგ/SECAP-ის შემუშავებისა და განხორციელების დროს. ამიტომ, მეკსგ/SECAP-ი უნდა მოიცავდეს განხორციელებად, ეფექტურ და ადგილობრივ საჭიროებებსა და კულტურულ კონტექსტთან ადაპტირებულ კომუნიკაციის მკაფიო სტრატეგიას.

საკომუნიკაციო სტრატეგიამ უნდა მოიცვას მეკსგ/SECAP-ის ყველა ფაზა და გამოყენებადი იყოს ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერის მისაღებად, რაც ხილვადობას მისცემს როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე პარტნიორების ვალდებულებებს, ასევე გაავრცელებს მიღწეულ შედეგებს.

საწყის ეტაპზე, კომუნიკაციის მკაფიო სტრატეგია და ზუსტი საინფორმაციო კამპანიებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ მეკსგ/SECAP-ის მიზნები სრულად იყოს გაგებული და თავიდან აიცილონ კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაციის რისკი. შერბილება და სათბურის გაზების ემისიები, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ენერგეტიკული სიღარიბე ის ტერმინებია, რომლებიც ხშირად არასწორად არის გაგებული და არ აღიქმება, როგორც ყოველდღიურ ყოფიერებაზე გავლენის მქონე საკიხზები. . საზოგადოების კეთილდღეობასთან და ყოველდღიურ აქტივობებთან კავშირის ჩვენება შეიძლება გადამწყვეტი იყოს გეგმის სოციალური მიმღეობისთვის. მნიშვნელოვანია ფოკუსირება შერბილების, ადაპტაციისა და ენერგეტიკული სიღარიბის ღონისძიებების სარგებელზე, როგორიცაა დადებითი გავლენა ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე ან ქალაქების საცხოვრებლად ვარგისი და მიმზიდველი გახდომა, რათა დაძლიოს დაინტერესებული მხარეების შეშფოთება ხარჯებთან დაკავშირებით.

ასევე აუცილებელია კარგი კომუნიკაცია განხორციელების ფაზაში, როგორც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტებს შორის შიდა დონეზე, ასევე გარე – სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის საზოგადოებასთან. ამ შემთხვევაში, კომუნიკაციის გეგმები შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკრეტული ქმედებების განხორციელებასთან ან გეგმის საერთო წარმატებასთან.

გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის მიზნით, სხვა მუნიციპალიტეტებთან, განსაკუთრებით კი მერების შეთანხმების სხვა ხელმომწერებთან, ქსელური კავშირების დამყარება მკაცრად რეკომენდებულია. ეს აჩქარებს სწავლას და ხაზს უსვამს თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, რამაც ასევე შეიძლება მიიზიდოს ინვესტორები და დამატებითი დაფინანსება საპილოტე და/ან სადემონსტრაციო პროექტების მხარდასაჭერად.

საკომუნიკაციო სტრატეგიის ძირითადი პუნქტები:

- სასურველი შედეგის განსაზღვრა: საკომუნიკაციო ინსტრუმენტის/გეგმის მოსალოდნელი ეფექტი უნდა იყოს მკაფიო და ობიექტური. შედეგების რამდენიმე მაგალითია: ცნობიერების ამაღლება, თემაზე ცოდნის გაზრდა, პოლიტიკური აქტუალობის მოპოვება, აღიარების მოპოვება, მოქმედების შთაგონება და შედეგების ხელშეწყობა.
- ფოკუსირება საკვანძო შეტყობინებაზე: ის უნდა იყოს მკაფიო, ლაკონური და მარტივი.
- საკვანძო სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება და მათთან დაკავშირება: სამიზნე აუდიტორია შეიძლება განსხვავდებოდეს როგორც შიდა (მუნიციპალური ადმინისტრაციული ინსტიტუტების შიგნით) ასევე გარე (სხვა დაინტერესებული მხარეები) აუდიტორიისგან. სამიზნე აუდიტორიის გაგება ხელს შეუწყობს მათი ინტერესის გაღვივებას და კონკრეტული პრობლემების მოგვარებას.
- განსაზღვრეთ ინდიკატორები კომუნიკაციის პოტენციური მასშტაბისა და გავლენის შესაფასებლად (ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა, გამოკითხვაში პასუხები, ვებსაიტზე ნახვები, ელექტრონული ფოსტით გამოხმაურება და ა.შ.).
- განსაზღვრეთ ბიუჯეტი.
- სასურველი შედეგისა და არსებული რესურსების მიხედვით, მიუთითეთ ყველაზე შესაფერისი საკომუნიკაციო არხი(ები): პირისპირ შეხვედრები, რეკლამა, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, ვებსაიტი, ბლოგები, საუბრები/შეხვედრები, ბროშურები, პოსტერები, საინფორმაციო ბიულეტენები, პუბლიკაციები, მედია რელიზები, სპონსორობა და ა.შ.

– გეგმის შედგენა: შეადგინეთ გეგმა, რომელიც შეაჯამებს ზემოთ მოცემულ ყველა საორიენტაციო ინფორმაციას და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ დეტალებს, როგორიცაა ვადები, პასუხისმგებლობები, თითოეული ქმედების ხარჯები და განხორციელების პოტენციური ბარიერები.

3.3.4. სამართლიანობის, თანასწორობისა და გენდერული საკითხების გათვალისწინება

ქალაქებში კლიმატის ცვლილებაზე ორიენტირებული ქმედებები უნდა იყოს ნამდვილად ინკლუზიური, პრიორიტეტული უნდა იყოს დაუცველი და მარგინალიზებული მოსახლეობის ჯგუფების საჭიროებები და ცალსახად უნდა მოგვარდეს გენდერული უთანასწორობა .

დაუცველი თემების აქტიური წარმომადგენლობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფა აუცილებელია იმ ადამიანებისგან ინფორმირებული და შინაარსიანი მოსაზრებების მისაღებად, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაზარალებულნი კლიმატის ცვლილებით, მძიმე ტვირთად აწევთენერგიის გაზრდილი ხარჯები ან უფრო მეტად არიან დაუცველები გარდამავალი პერიოდის უარყოფითი შედეგების მიმართ (მაგ., მარგინალიზებული ჯგუფები, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები, ქალები და ხანდაზმული მოსახლეობა). გარდა ამისა, მარგინალიზებული და დაუცველი თემების გაძლიერება მათთვის ინფორმაციის, განათლების, ტრენინგისა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით საშუალებას აძლევს მათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ენერგოეფექტურობის პროგრამებში, განახლებადი ენერგიის ინიციატივებსა და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის პროექტებში. საბოლოო ჯამში, ეს აძლიერებს მათ შესაძლებლობას, განახორციელონ და ისარგებლონ კლიმატის ცვლილებისადმი სამოქმედო ინიციატივებით.

წარსულში, კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმებში ხშირად პრიორიტეტი ეთმობოდათ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ მოსაზრებებს და უგულებელყოფდნენ ან არღვევდნენ სოციალურ განზომილებას, ან თუნდაც ზრდიდნენ უთანასწორობას, მაგალითად, „მწვანე გენტრიფიკაციის“ ხელშეწყობით (ანგუელოვსკი და სხვ. 2022) . იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ „უსამართლობის ცხელ წერტილებად“ გადაქცევა, ქალაქებმა უნდა აღიარონ კავშირი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ძალისხმევასა და მათ მრავალჯერად შედეგებს შორის, გაითვალისწინონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებების გაუთვალისწინებელი შედეგები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებების დაგეგმვისას უფრო მეტად გაითვალისწინონ სამართლიანობა (დელა ვალე და სხვ. 2023) .

სამართლიანობისა და თანასწორობის საკითხების გათვალისწინებით, ქალაქებს შეუძლიათ მიიღონ პოლიტიკური ინსტრუმენტების მთელი რიგი (დიესმარტინესი და შორტ ჯიანოტი 2022):

1. ადგილობრივი ჩართულობის გაძლიერება „სამართლიანობის პარტნიორობის“ გზით, დაუცველ ჯგუფებთან ან მათ წარმომადგენელ ადვოკატირების ჯგუფებთან პირდაპირი ურთიერთობით. ამ გზით, ქალაქებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ისტორიულად ნაკლებად წარმოდგენილ თემებში მონაწილეობას, გამოიყენონ ადგილობრივი ცოდნა და რესურსები და ამგვარად შეიმუშაონ და განახორციელონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, რომლებიც ყველა მაცხოვრებლის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს შეესაბამება.
2. შეიქმნას „თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოები“, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან დაუცველი მოსახლეობის წარმომადგენლობასა და მათ ჩართულობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქმედებების შესაბამისობა სამართლიანობის მიზნებთან.

3. შეიმუშავეთ „თანასწორობის ინსტრუმენტები“, რომლებიც მუნიციპალურ მთავრობებს დაეხმარება სამართლიანობისა და თანასწორობის საკითხების ამოცნობასა და პოლიტიკის პროცესში ინტეგრირებაში. ეს ინსტრუმენტები, საშუალებას აძლევს ქალაქებს შეაფასონ პოლიტიკის პოტენციური სარგებელი და გაუთვალისწინებელი ეფექტები ადგილობრივ დაუცველ მოსახლეობაზე და ჩაატარონ თითოეული პოლიტიკისა და პროგრამის შეფასებები მათ მოქმედებაში ამოქმედებამდე.
4. კლიმატის სამოქმედო გეგმების სამართლიანობისა და თანასწორობის ზემოქმედების რაოდენობრივი შეფასებისა და სამართლიანობის მიზნების მიღწევის პროგრესის მონიტორინგისთვის „სამართლიანობის ინდიკატორების“ დაწესება.

გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების პრიორიტეტულობის მინიჭება, რომლებიც აქტიურად ებრძვიან გენდერულ ხარვეზებს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო დაგეგმვაში, აძლიერებს კლიმატის ცვლილებაზე ორიენტირებულ სტრატეგიებს და ამავდროულად ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს, რომ მოსახლეობის ყველა ფენა ისარგებლებს ამ სარგებლით. კლიმატის ცვლილებაზე ორიენტირებული ქმედებები შეიძლება გახდეს გენდერულად მგრძნობიარე, თუ სისტემატურად გავითვალისწინებთ სხვადასხვა გენდერული ჯგუფის პირობებს, სიტუაციებსა და საჭიროებებს შორის განსხვავებებს დიზაინისა და განხორციელების ყოველ ეტაპზე. ეს პროცესი, რომელიც ცნობილია როგორც გენდერული მეინსტრიმინგი, მოიცავს საბაზისო სქემის გენერირებას, მონაწილეობითი დიზაინის პროცესებს, მიზნების, აქტივობებისა და ინდიკატორების იდენტიფიცირებას, ასევე მონიტორინგსა და შეფასებას (NDC პარტნიორობა 2021) .

გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის საკითხების მეკსგ/SECAP-ებში ინტეგრირების ნაბიჯები მოიცავს (მერების გლობალური შეთანხმება 2025) შემდეგს:

1. ივალდებულეთ გენდერული თანასწორობა და ინკლუზიურობა: თავიდანვე დაადგინეთ პირობები გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიისსთვის (მაგ. შეარჩიეთ გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიის ჩემპიონი).
2. ძალაუფლებისა და მონაწილეობის ხარვეზების ნუსხა: გაიგეთ ადგილობრივი კონტექსტი და შეავსეთ ხარვეზები გენდერული მონაცემების შესახებ ალტერნატიული წყაროებითა და მონაცემთა შეგროვებით (მაგ., კვლევები და საზოგადოების მიერ დაფუძნებული მონაცემები).
3. საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა: ქალების, გოგონების და მარგინალიზებული თემების ჩართულობის ბარიერების მოხსნა (მაგ., მზრუნველობის პასუხისმგებლობა, დროის ნაკლებობა და პოტენციური ხარჯები) და უსაფრთხო და პატივისცემით სავსე გარემოს შექმნა.
4. ინკლუზიური კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავება: შემოთავაზებული ქმედებების დადასტურება შესაბამის გენდერულ თემებთან, პროგრესისა და შედეგების თვალყურის დევნების მიზნით გამოიყენეთ სპეციალური ჩარჩოები, როგორიცაა გენდერული თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სოციალური ინკლუზიის (GEDSI) საფუძველზე შექმნილი მეტრიკები და ინდიკატორები.
5. თვალყური ადევნეთ სტრუქტურულ ცვლილებებს: მაგალითად, ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობებზე წვდომის გაზრდას, უნარების განვითარებას, ქალთა ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობას.

სამოქმედო გეგმებში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფის სპეციალური სტრატეგიების მაგალითებია: გენდერულად სამართლიანი და ინკლუზიური კლიმატის დაფინანსების დანერგვა (მაგ. გენდერული ბიუჯეტირება და მონაწილეობითი ბიუჯეტირება, ფინანსური ინსტიტუტების ქალთა ორგანიზაციებთან დაკავშირება, გენდერულად ინკლუზიური პროექტები), ისტორიების ხელშესახებ ქმედებებად გარდაქმნა მონაცემებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გაერთიანებით,

გენდერულად სამართლიანი და ინკლუზიური შესყიდვების დანერგვა შეძენილი საქონლისა და მომსახურების მეშვეობით, მაგალითად, ქალების მიერ მართული, უმცირესობების საკუთრებაში არსებული ან ადგილობრივი ბიზნესებისთვის კონტრაქტების წახალისებით, ასევე სოციალური ღირებულების პუნქტების და/ან გენდერული გავლენის შეფასების ჩართვით კონტრაქტორების პროექტებში.

საერთო ჯამში, მეკსგ/SECAP-ებს აქვთ პოტენციალი, რომ იქცნენ ძირითად ინსტრუმენტებად სამართლიანი ურბანული გადასვლის პროცესებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის. სოციალური რისკები შეიძლება წარმოიშვას, თუ ადამიანებს არ ესმით ან არ იღებენ მონაწილეობას განხორციელებულ ქმედებებში (გ. ულპიანი და ვეტერსი 2023) . ამიტომ, სოციალური სამართლიანობისა და უთანასწორობის საკითხების, ასევე მარგინალიზაციის ფორმების გადაჭრა დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმების ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად და ამით, მოსალოდნელი სოციალური რისკების შესამცირებლად. დამატებით ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩავრთოთ თანასწორობის საკითხები მეკსგ/SECAP პროცესებში, გვაწვდის მერების შეთანხმება – ევროპა (2023) .

სარკმელი 7. მდგრადი თემები ქალთა გაძლიერების გზით მოლდოვას რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში

ქვეყანა: მოლდოვას რესპუბლიკა | მოსახლეობა: 2 409 207 | წელი: 2024 – 2028

პროექტი „მდგრადი თემები ქალთა გაძლიერების გზით, მე-2 ფაზა“, რომელსაც UNDP მოლდოვა ახორციელებს შვედეთისა და ნორვეგიის ფინანსური დახმარებით, დაახლოებით 10.1 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ბიუჯეტით უზრუნველყოფს მოლდოვას რესპუბლიკის ძალისხმევას კლიმატის პოლიტიკაში გენდერული ასპექტების ინტეგრირების მიმართულებით.

ამ ინიციატივის ერთ-ერთი კომპონენტია სულ 42 შერჩეული ადგილობრივი თემის მხარდაჭერა მეკსგ/SECAP-ების შემუშავებასა და განხორციელებაში, რაც გაზრდის კლიმატისადმი მდგრადობას და ხელს შეუწყობს შერბილებისა და ადაპტაციის ძალისხმევას. მეკსგ/SECAP-ები შემუშავდება გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის გათვალისწინებით და მომზადდება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით. ეს თემები ასევე მიიღებენ ფინანსურ დახმარებას და მენტორობას მეკსგ/SECAP-თან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებისთვის.

ამავდროულად, დაახლოებით 160 ქალი, რომელიც ჩართულია საყოფაცხოვრებო ეკონომიკურ საქმიანობაში და 40 ქალის მიერ მართული სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას და მენტორობას კლიმატის ცვლილების ჭკვიანი გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, როგორიცაა ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის გამოყენება, წვეთოვანი ირიგაცია და ა.შ. 12 ადგილობრივი ბიზნეს ინკუბატორი გააძლიერებს თავის შესაძლებლობებს გენდერისა და კლიმატის საკითხებში და მიიღებს ინსტიტუციურ მხარდაჭერას სოფლის ქალებისთვის მორგებული მომსახურების მიწოდების მიზნით. ეს მომსახურება ფოკუსირებული იქნება მათი ბიზნესის კლიმატისადმი მდგრადობის გაზრდაზე და მისი შედეგების შერბილების გეგმების შემუშავებაზე.

4. არსებული მდგომარეობის შეფასება და მიზნების განსაზღვრა

4.1. ადგილზე არსებული სიტუაციის გონივრული შეფასება

4.1.1. სათბურის გაზების ემისიის ინვენტარიზაცია

მეკსგ/SECAP პროცესი მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიასთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ სათბურის გაზების (GHG) ემისიების ინვენტარიზაციას. ემისიების აღნიშნული კადასტრი რაოდენობრივად განსაზღვრავს სათბურის გაზების ემისიებს. სხვადასხვა ენერგორესურსის მოხმარების, განახლებადი და არაგანახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების, ასევე სხვა აქტივობის მონაცემების საფუძველზე და შესაბამისი ემისიების კოეფიციენტების (EFs) გამოყენებით, მუნიციპალიტეტს შეუძლია შეაფასოს ძირითად ურბანულ სექტორებთან დაკავშირებული ემისიები.

სათბურის გაზების ემისიების აღრიცხვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებების მხარდასაჭერად და მუნიციპალიტეტისთვის, რათა შეიმუშაოს, აკონტროლოს და გაზომოს მისი მეკსგ/SECAP-ის ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს მოქმედების გზა. კერძოდ, საბაზისო ემისიების ინვენტარიზაცია (BEI) წარმოადგენს მეკსგ/SECAP-ის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს საცნობარო საწყისი წერტილის დადგენას, რომელთანაც შედარებული იქნება მიღწეული სათბურის გაზების ემისიების შემცირება, ხოლო თანმიმდევრული მონიტორინგის ემისიების ინვენტარიზაცია (MEI) გადამწყვეტი მნიშვნელობისაა განხორციელების პროგრესის მონიტორინგისთვის.

სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაცია საშუალებას იძლევა, განისაზღვროს სექტორების შედარებითი წვლილი და შესაბამისად, დაეხმაროს სათბურის გაზების შერბილების ქმედებების შემუშავებასა და პრიორიტეტულობის მინიჭებას. ენერგიის მოხმარებისა და ადგილობრივი ენერგიის წარმოების შესახებ მონაცემები მუნიციპალიტეტს საშუალებას აძლევს, თვალყური ადევნოს პროგრესს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის დანერგვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ გამჭვირვალე პროცესისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფაში – რაც პოტენციურად ზრდის ყველა დაინტერესებული მხარისა და აქტორის მოტივაციას და ჩართულობას, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ადგილობრივი კლიმატისა და ენერგეტიკის მიზნების მიღწევაში.

ინვენტარიზაციის მასშტაბი, საზღვრები და მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს კარგად დამკვიდრებულ სტანდარტებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხი, შესაბამისობა და შედარებადობა, ამავდროულად მოქნილი და მორგებადი იყოს მუნიციპალიტეტების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. მაგალითად, მუნიციპალიტეტებს მოუწოდებენ გამოიყენონ სათბურის გაზების აღრიცხვის მიდგომები და პრინციპები, რომლებიც შეესაბამება კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო პანელის (IPCC) მიდგომებსა და პრინციპებს. თუმცა, მერების შეთანხმების ჩარჩო ადგენს კონკრეტულ ინვენტარიზაციის სტრუქტურას, რომელიც მუნიციპალურ საქმიანობას განიხილავს, როგორც სექტორს, რომლისთვისაც ენერგიის მოხმარება და ემისიები ცალკე უნდა იყოს ანგარიშგებული, გამჭვირვალობისა და მუნიციპალიტეტის სამაგალითო როლის ხელშეწყობის მიზნით.

დეტალური ინსტრუქციები მოცემულია მერის შეთანხმების სახელმძღვანელოს დამატებით დოკუმენტში 1, თემაზე „როგორ მოვამზადოთ სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაცია“.

4.1.2. რისკისა და მოწყვლადობის შეფასება

რისკისა და მოწყვლადობის შეფასების (RVA) შემუშავება მუნიციპალიტეტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს პროცესი აერთიანებს სამეცნიერო მონაცემებს ადგილობრივ ცოდნასთან კლიმატური რისკებისა და დაუცველობის შესაფასებლად. RVA ეფუძნება სტრატეგიულ მიდგომას, რომელიც მოიცავს იდენტიფიცირებას, ანალიზს, კომუნიკაციას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც მიზნად ისახავს თემების კლიმატის ცვლილების უარყოფითი ეფექტების მიმართ მდგრადობის გაზრდას .

კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირება კლიმატის ცვლილების შეფასების (RVA) პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. კლიმატის მონაცემებისა და სერვისების გამოყენებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ მათი რეგიონის წინაშე არსებული კონკრეტული კლიმატური საფრთხეები. პოტენციური საფრთხეების დასადგენად, ეს ეტაპი მოიცავს ისტორიული კლიმატის გამოვლინებების ანალიზსა და სამომავლო პროგნოზებს. კლიმატური საფრთხეების იდენტიფიცირების შემდეგ, შემდეგი ეტაპია აქტივების, ინფრასტრუქტურისა და მოსახლეობის ზემოქმედების შეფასება. ეს ნაბიჯი დაკავშირებულია ამ ერთეულების (სექტორებისა და მოსახლეობის ჯგუფების) დაუცველობის შეფასებასთან იდენტიფიცირებული საფრთხეების მიმართ. შემდეგ მოჰყვება ადაპტური შესაძლებლობების შეფასება, სადაც ყურადღება გამახვილებულია იმის შეფასებაზე, თუ რამდენად კარგად შეუძლია საზოგადოებას კლიმატის ზემოქმედებასთან ადაპტაცია. ეს მოიცავს რესურსების, ტექნოლოგიების, ცოდნისა და ინფრასტრუქტურის შესწავლას, რომლებსაც შეუძლიათ კლიმატის ადაპტაციაში დახმარება.

რისკების ანალიზი და პრიორიტეტების განსაზღვრა RVA-ს შემდგომი ეტაპებია. ეს გულისხმობს ყველა შეგროვებული მონაცემის სინთეზს საერთო რისკების გასაგებად. საქმე ეხება რისკების რაოდენობრივ განსაზღვრას, პოტენციური ზემოქმედების შეფასებას და საზოგადოების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს შესაბამისი მკაფიო, გაზომვადი ადაპტაციის მიზნების დასახვას.

სარკმელი 8. ამ სექციასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების განმარტება

კლიმატის საფრთხე. ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული ფიზიკური მოვლენის, ტენდენციის ან ფიზიკური ზემოქმედების პოტენციური წარმოშობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის დაკარგვა, დაზიანება ან სხვა ზემოქმედება ჯანმრთელობაზე, ასევე ქონების, ინფრასტრუქტურის, საარსებო წყაროების, მომსახურების მიწოდების, ეკოსისტემების და გარემოსდაცვითი რესურსების დაზიანება და დანაკარგი. ამ ანგარიშში ტერმინი „საფრთხე“ ჩვეულებრივ გულისხმობს კლიმატთან დაკავშირებულ ფიზიკურ მოვლენებს ან ტენდენციებს ან მათ ფიზიკურ ზემოქმედებას (IPCC 2022) .

კლიმატის ზემოქმედება: ადამიანების, საარსებო წყაროების, სახეობების ან ეკოსისტემების, გარემოსდაცვითი ფუნქციების, მომსახურებისა და რესურსების, ინფრასტრუქტურის ან ეკონომიკური, სოციალური ან კულტურული აქტივების ყოფნა ისეთ ადგილებში და გარემოში, რომლებზეც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს (IPCC 2022) .

კლიმატის მიმართ მოწყვლადობა:

მოსახლეობის *ჯგუფებისთვის*: კლიმატის მიმართ მოწყვლადობა აღწერს მოსახლეობის ჯგუფის კლიმატის ზემოქმედებისგან გამოწვეული ზიანის მიმართ მოწყვლადობის დონეს. ამაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ჯანმრთელობა, ასაკი, მდებარეობა და რესურსებზე წვდომა. მოწყვლად ჯგუფებში შეიძლება შედიოდნენ ხანდაზმული ადამიანები, დაბალი შემოსავლის მქონე თემები ან ისინი, ვისაც უკვე აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები.

სექტორებისთვის: სექტორების კლიმატის მიმართ მოწყვლადობა გულისხმობს ეკონომიკური სექტორების (როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები ან ენერგია) მოწყვლადობას კლიმატის ცვალებადობისა და ექსტრემალური მოვლენების მიმართ. ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს სექტორისთვის სპეციფიკურ ფაქტორებზე, როგორიცაა ტექნოლოგია, ინფრასტრუქტურა, ბაზრის დინამიკა და მარეგულირებელი ჩარჩოები.

ადაპტაციური უნარი: ადაპტაციური უნარი არის სისტემის, საზოგადოების ან ორგანიზაციის უნარი, მოერგოს კლიმატის ცვალებადობასა და ექსტრემალურ პირობებს, შეამციროს პოტენციური ზიანი, ისარგებლოს შესაძლებლობებით ან გაუმკლავდეს შედეგებს. ეს მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა რესურსების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგია, ინფორმაცია და უნარები, ინფრასტრუქტურა, ინსტიტუტები და თანასწორობა.

კლიმატის ზემოქმედება: კლიმატის ზემოქმედება გულისხმობს კლიმატის ცვალებადობისა და ცვლილების ზემოქმედებას ბუნებრივ და ადამიანურ სისტემებზე. ზემოქმედება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი და შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც თანდათანობითი ცვლილებებით (მაგალითად, ტემპერატურის მატება), ასევე ექსტრემალური მოვლენებით (მაგალითად, ქარიშხლები). ეს ზემოქმედება ხშირად იწვევს ცვლილებებს ამ სისტემების მიერ მოწოდებულ ფუნქციონირებასა და მომსახურებაში.

კლიმატური რისკი: შედეგების პოტენციალი, როდესაც რაიმე ღირებული დევს სასწორზე და სადაც შედეგი გაურკვეველია, ღირებულებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით. რისკი გამოწვეულია დაუცველობის, ზემოქმედებისა და საფრთხის ურთიერთქმედებით (IPCC 2022).

მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილების სხვადასხვა საფრთხის მიმართ მოწყვლადობის სისტემატურად შესაფასებლად, RVA გულისხმობს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, რომელიც მოიცავს ვადების, კლიმატის ცვლილების სცენარების, კლიმატის მონაცემთა წყაროების და ადგილობრივი მონაცემების ინტეგრაციის ხარისხის შერჩევას. ამას შეიძლება ჰქონდეს ერთჯერადი შეფასების ან სხვადასხვა შეფასების ფორმა თითოეული საფრთხის ან მოწყვლადი სექტორის მიხედვით.

რადგან კლიმატური რისკი დამოკიდებულია არა მხოლოდ კლიმატთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, არამედ რეგიონის/საზოგადოების შესაბამისი საფრთხის მიმართ ზემოქმედებასა და მოწყვლადობაზე, საბოლოო ნაბიჯი აერთიანებს საფრთხის მონაცემებს ზემოქმედებასა და მოწყვლადობასთან, რათა შეფასდეს რისკი განტოლების მიხედვით:

რისკი = ხიფათი × ექსპოზიცია × მოწყვლადობა

წარსული კლიმატური საფრთხეებისა და ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი აუცილებელია მუნიციპალიტეტების კონტექსტისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გასაგებად, ასევე კლიმატსა და მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ ელემენტებს შორის ურთიერთობების გასაგებად. RVA-ები ასევე განკუთვნილია სამომავლო ტენდენციებისა და პოტენციური საფრთხეების გამოსავლენად, რომელთა წინაშეც მუნიციპალიტეტები იქნებიან, რაც მოითხოვს კლიმატის მოდელების, სცენარების და პროგნოზების გამოყენებას. ეს ასევე საშუალებას მოგვცემს დაგეგმოთ ადაპტაციის ქმედებები, რომლებიც დააკმაყოფილებს თემების ფაქტობრივ და მომავალ საჭიროებებს.

შეათნხმების საბჭოს ევროკავშირის სახელმძღვანელოს დამატებით დოკუმენტში 2, თემაზე „<u>როგორ მოვამზადოთ რისკისა და მოწყვლადობის შეფასება (RVA)</u>“.

4.1.3. ენერგომოხმარებისა და სიღარიბის შეფასება

ენერგიაზე წვდომა და ენერგეტიკული სიღარიბე მუნიციპალიტეტების მდგრადი განვითარების, მდგრადობისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი ელემენტებია. ენერგიაზე წვდომა და ენერგეტიკული სიღარიბე (EAP) კლიმატისა და ენერგეტიკის მერების გლობალური შეთანხმების (GCoM) მესამე საყრდენს წარმოადგენს. გლობალურ დონეზე, ეს საყრდენი სტრუქტურირებულია სამი ენერგეტიკული ატრიბუტის გამოყენებით:[12]

- უსაფრთხო ენერგია: ენერგია ხელმისაწვდომია და/ან საიმედოა, რაც ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ჩართულობაზე წვდომას უზრუნველყოფს.
- მდგრადი ენერგია: ენერგია წარმოიქმნება განახლებადი და არადამაბინძურებელი რესურსებიდან, რაც თავიდან აიცილებს ჯანმრთელობისთვის, სოციალური და გენდერული თვალსაზრისით უარყოფით შედეგებს.
- ხელმისაწვდომი ენერგია: ენერგია ხელმისაწვდომია და/ან შენობები ენერგოეფექტურია, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ხარჯების ღირებულება, რაც ხელს უწყობს ენერგიის გამოყენებას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შესაძლებლობებისთვის.

შეფასების ფაზის მიზანია ადგილობრივ კონტექსტში ენერგიაზე წვდომისა და სიღარიბის ყოვლისმომცველი გაგების უზრუნველყოფა, მათ შორის მისი მასშტაბები, ძირითადი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები, ეფექტური სამოქმედო დაგეგმვისთვის. საკითხის მრავალგანზომილებიანი ასპექტების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავს კლიმატურ პირობებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებამდე და პოლიტიკური მიდგომების არსებობას, ენერგიაზე წვდომისა და სიღარიბის ატრიბუტები ქმნის ჩარჩოს შეფასების სტრუქტურირებული ფორმით ორგანიზებისთვის (სურათი 6). თითოეული ატრიბუტისთვის, მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომია ინდიკატორების ნაკრები, რათა შეაფასონ მათი ადგილობრივი ენერგიაზე წვდომისა და ენერგეტიკული სიღარიბის დონე.[13]


თითოეულ GCoM რეგიონს შეუძლია აირჩიოს ყველაზე შესაბამისი ენერგეტიკული საკითხი მისი ადგილობრივი მახასიათებლებისა და ენერგეტიკული საჭიროებების საფუძველზე, შესაბამისად მოარგოს ენერგეტიკული შეფასება. სტრუქტურირებული

12 როგორც აღწერილია GCoM საერთო ანგარიშგების ჩარჩოში (CRF)

13 <u>მერების გლობალური შეთანხმების, ენერგოხელმისაწვდომობისა და სიღარიბის სვეტის (EAPP) დანართი, საერთო ანგარიშგების ჩარჩო</u>

კონსულტაციების პროცესის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის მეზობელმა ქვეყნებმა და ცენტრალურმა აზიამ შეარჩიეს ენერგიის ხელმისაწვდომობის ატრიბუტი.[14]

სურათი 6. CoM East-ის ენერგომოხმარებისა და სიღარიბის საკითხები და ინდიკატორები.



წყარო: JRC-ის შემუშავება

ადგილობრივი პირობების რეესტრის შედგენის საწყისი ფაზის შემდეგ, მუნიციპალიტეტებმა შეფასების პროცესისთვის შემდეგი ძირითადი ნაბიჯები უნდა გადადგან:

1. მონაცემთა შეგროვება და დამუშავება: მუნიციპალიტეტებმა პირველ რიგში უნდა ჩაატარონ სხვადასხვა დეპარტამენტში (მაგ., საბინაო ან სოციალური მომსახურება) უკვე არსებული მონაცემების ინვენტარიზაცია და მათი შესაბამისობის შემოწმება შესაბამისი ინდიკატორების შესამუშავებლად. თუ ეს არასაკმარისია, მათ შეუძლიათ მონაცემების შეგროვება გარე ორგანიზაციებთან (როგორიცაა ენერგიის მიმწოდებლები ან უნივერსიტეტები) თანამშრომლობით ან პირველადი მონაცემების შეგროვება უშუალოდ გამოკითხვებისა და ინტერვიუების მეშვეობით. უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველყოფა, რომ მონაცემები იყოს ადგილობრივი რელევანტური და სანდო, რაც ხშირად მოითხოვს ეროვნული მონაცემების მასშტაბირებას ან ნორმალიზაციას მუნიციპალურ დონეზე.
2. ანგარიშგება შერჩეული ინდიკატორების საშუალებით: ხელმომწერები იყენებენ ინდიკატორებს ენერგომოხმარებისა და სიღარიბის გასაზომად და მონიტორინგისთვის.

მუნიციპალიტეტებს მოეთხოვებათ გამოიყენონ რაც შეიძლება მეტი ინდიკატორი, რათა უფრო დეტალურად გაიგონ ენერგოხელმისაწვდომობისა და სიღარიბის მრავალმხრივი პრობლემა. თუმცა, ამ სახელმძღვანელოს პრაქტიკული გამოყენებისთვის, ჩვენ გირჩევთ გამოიყენოთ მინიმუმ ერთი ინდიკატორი, რომელიც ეხება:

– ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ოჯახების ან მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ენერგეტიკული სიღარიბის წინაშე დგანან

ეს ინდიკატორი ასახავს იმ პირების ან ოჯახების პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც თავიანთი შემოსავლის განსაზღვრულ პროცენტამდე ხარჯავენ ენერგეტიკულ მომსახურებაზე, რაც იძლევა წარმოდგენას მოსახლეობისთვის ენერგიის ხელმისაწვდომობის შესახებ. ზღვრის სახით გამოყენებული კონკრეტული პროცენტი შეიძლება განსხვავდებოდეს და უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტების მიერ, მუნიციპალური პირობების შესაბამისად. ინდიკატორი ხელს უწყობს ოჯახებზე ენერგიის დანახარჯების ფინანსური ტვირთის იდენტიფიცირებას, ენერგეტიკული

[14] ვინაიდან ეს სახელმძღვანელო აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტზეა მორგებული, აქ მოცემული ინსტრუქცია ფოკუსირებულია ამ რეგიონის მიერ შერჩეულ ატრიბუტზე. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ენერგოწვდომისა და სიღარიბის შეფასება დანარჩენი ორი ატრიბუტისთვის – მდგრადობა და უსაფრთხოება – ან იგივე ატრიბუტისთვის მერის თანამშრომლობის სხვა რეგიონულ კონტექსტებში, ამ დოკუმენტში არ არის განხილული.

სიღარიბის რისკის შეფასებას და მიზნობრივი ჩარევების ინფორმირებას დაუცველი ჯგუფებისთვის ენერგიაზე წვდომისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

ოჯახის წევრების ეკონომიკურმა ასპექტებმა და/ან სოციალურმა მახასიათებლებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ენერგეტიკულ სიღარიბეზე. ამიტომ, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გაგება უმნიშვნელოვანესია დაუცველობის კონკრეტული განმსაზღვრელი ფაქტორების დასადგენად და მათი შემცირების გზების გასათვალისწინებლად. ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ენერგეტიკული სიღარიბის მდგომარეობა ხშირად ასოცირდება სოციალურ/ეკონომიკური დაუცველობის სხვა ფორმებთან.

თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივა არ არის ერთადერთი, რომლითაც შეიძლება გამოვლინდეს და შეფასდეს ენერგეტიკული სიღარიბე. მაგალითად, სახლების ტექნიკურმა მდგომარეობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ხარისხიან ენერგეტიკულ მომსახურებაზე წვდომაზე. ანალოგიურად, ტრანსპორტირების საჭიროებებმა და პრაქტიკამ შეიძლება ხელი შეუწყოს ენერგეტიკული სიღარიბის მდგომარეობის გამწვავებას. მრავალფეროვანი ინდიკატორების გამოყენება და კომბინაცია, რომლებიც მიზნად ისახავს მრავალ პერსპექტივასა და ატრიბუტს, ხელს უწყობს ენერგეტიკული სიღარიბის სრულყოფილ შეფასებას.

EPAH-ის სახელმძღვანელოდან (ენერგეტიკული სიღარიბის საკონსულტაციო ცენტრი 2023) რეკომენდებული მიდგომაა მუნიციპალიტეტში ენერგეტიკული სიღარიბის „მიზეზებისა და შედეგების“ (სოციალური ჯგუფები და გეოგრაფიული გავრცელება) იდენტიფიცირების მიზნით რამდენიმე სახელმძღვანელო კითხვის დაცვა, როგორიცაა:

- „რა გავლენას ახდენს დაბალი ენერგოეფექტურობა და საყოფაცხოვრებო ტექნიკა?“
- „ინფორმირებულია თუ არა ხალხი შესაძლო კარგი პრაქტიკის შესახებ?“
- „ზუსტად ვინ არიან ზუსტად ამ უბანში მცხოვრები ადამიანები (უმუშევრობით დაზარალებული ადამიანები, ჯანმრთელობის განსაკუთრებული პრობლემების მქონე ადამიანები და ა.შ.)?“

მაგალითად, დაუცველი ჯგუფების იდენტიფიცირებას შეუძლია რეალური განსხვავება შეიტანოს მუნიციპალიტეტის კონკრეტული სიტუაციის აღრიცხვისას და მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო იყოს ენერგეტიკული სიღარიბის პოლიტიკის შემუშავებისთვის.

შეფასების დასასრულს, ხელმომწერს უნდა ჰქონდეს ენერგომოხმარებისა და სიღარიბის დეტალური გაგება მათ ადგილობრივ კონტექსტში, მათ შორის, სხვადასხვა ატრიბუტის მიხედვით შერჩეული ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე, რაც მას საშუალებას მისცემს დაისახოს ინფორმირებული მიზნები, პრიორიტეტულად განსაზღვროს ჩარევები და შეიმუშაოს მიზანმიმართული პოლიტიკა და ღონისძიებები.

დეტალური ინსტრუქციები მოცემულია მერების შეთანხმაბის ევროკავშირის სახელმძღვანელოს დამატებით დოკუმენტში 3, თემაზე „როგორ შევიმუშაოთ ენერგეტიკული სიღარიბის შეფასება“*.

* გაითვალისწინეთ, რომ დამატებითი დოკუმენტი 3 მიჰყვება ენერგეტიკული სიღარიბის შეფასების ევროკავშირის ჩარჩოს, თუმცა, ის შეიძლება სასარგებლო წყარო იყოს CoM East მუნიციპალიტეტებისთვის ისეთ თემებზე, როგორიცაა ქმედებების შემუშავება, ინდიკატორები და პრაქტიკული მაგალითები.

4.2. საერთო ხედვისა და ამბიციური მიზნების განსაზღვრა

4.2.1. კლიმატის პოლიტიკის მიმოხილვა რეგიონში

კლიმატის მიზნების დასახვისას, მუნიციპალიტეტებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო ხედვა არსებული მუნიციპალური, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკისა და რეგულაციების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ტერიტორიაზე ენერგეტიკისა და კლიმატის საკითხებზე. ეს ნაწილი იძლევა კლიმატის პოლიტიკის კონტექსტის მიმოხილვას, რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს CoM East მუნიციპალიტეტებისთვის.

